თებერვალი
№ 2 1977 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




# საბჭოთა საქართველო 56 წლისაა

# იცნობდეთ ახალ გმირებს

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სასახელოდ იშრომეს. მეათე ხუთწლედის პირველ წელს.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის. 1976 წელს ჩაის ფოთლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში გამოჩენილი შრომითი მამაცობისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეებს.

აი, ისინი, ვინც გვასახელეს:



**ვასილ ძნელაძე** — გაგრის მეცხოველეობის საჯიშე მეურნეობის დირექტორი.

ამ მეურნეობამ ხუთწლედის პირველ წელს მნიშვნელოვნად გაადიდა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების მიყიდვა. ერთ ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 4.000 კილოგრამის ნაცვლად საშუალოდ 4.702 კილოგრამი რძე მიიღეს. 70 სულის ნაცვლად შეინარჩუნეს და გაზარდეს 76 მოზარდი.



**ამირან ტოროტაძე** — მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობის მეჩაიე.

ამირანმა მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს 13 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა, მეორე წელს — 17,8 ტონა, მესამე წელს — 18,5 ტონა, მეოთხე წელს — 22,4 ტონა, მეხუთე წელს — 24,2 ტონა. მეათე ხუთწლედის პირველ წელს ამირან ტოროტაძემ 25 ტონა მაღალხარისხოვანი ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს.

**გიორგი ცერცვაძე** — „საქსოფლტექნიკის" გორის რაიონული გაერთიანების ტრაქტორისტთა ბრიგადირი.

მისი ბრიგადა მეათე ხუთწლედის პირველ წელს სოფელ ზედდულეთის კოლმეურნეობაში 30 ჰექტარ სიმინდის ნათესს უვლიდა. ბრიგადამ კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით დაამუშავა ნათესები და ჰექტარზე 28 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ 40 ცენტნერი მარცვალი მიიღო. სახელმწიფოს მიჰყიდეს 120 ტონა სიმინდი. გარდა ამისა, ბრიგადამ მოსავლელი ფართობის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 55 ცენტნერი ხორბალი მიიღო.

გიორგი ცერცვაძის ბრიგადამ ტონობით დაზოგა ტრაქტორების საწვავი-საცხები.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 2 (482) თებერვალი, 1977 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



© „დროშა", 1977.



კომუნისტები ავანგარდში

მოსკოვი — 80

სიჭაბუკის ქალაქი







შოფრისთვის საიდუმლო



მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი);
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით სეფიაშვილი
კორექტორი ქეთევან წერეთელი

ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავისათვის

# კომუნისტები ქარხანაში

## ძია სპირიდონი

ამ ოცი წლის წინათ, ყოფილ ნაძალადევში, ლოტკინის გორაზე დავიდე ბინა.

ყოველდღე, დილის შვიდ საათზე, ჩემი ოთახის ფანჯრის გასწვრივ, ალიზი[illegible] ნაგები სახლის ეზოდან თმაშევერცხლილი მამაკაცი გამოდიოდა და დინჯი ნაბიჯით მიუყვებოდა გზას. საღამოს, როცა ქარხნის საყვირი აგუგუნდებოდა, სამუშაოდან დაბრუნებული ჩემი უცნობი მეზობელი ისევ ჩვეული დინჯი ნაბიჯით ბრუნდებოდა ხოლმე შინ.

ჩანდა, რომ ყველას უყვარდა. რკინიგზელის გამოხუნებულ კიტელში გამოწყობილ თმაშევერცხლილ კაცს შემხვედრები პატივისცემით უხდიდნენ ქუდს.

ერთხელ, ჩემმა ნათესავმა, რომლის ოთახშიც ვცხოვრობდი, ეტყობა შემატყო დაინტერესება და მითხრა:

— ამ კაცს სპირიდონი ჰქვია. სპირიდონ ზადიკაშვილი. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშაობს. იქ არ დაბადებულა, თორემ მთელი ცხოვრება ქარხანაში გაატარა.

თავისი სიდინჯით, სიდარბაისლით, დაძარღვული ხელებით, გარუჯული სახითა და კიდევ რაღაც ამოუცნობი, ენით უთქმელი შინაგანი სიმტკიცით ძია სპირიდონი ჩემში მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლის შთაბეჭდილებას სტოვებდა; მუშური სინდისისა და კაცობის განსახიერება!

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. მალე ინსტიტუტი დავამთავრე, მუშაობა დავიწყე და ლოტკინის გორიდან საცხოვრებლად ქალაქის ცენტრში გადავედი.

ყოველთვის, როცა ქართველი მუშაკაცის სახეს წარმოვიდგენდი, რა თქმა უნდა, ძია სპირიდონი მახსენდებოდა. მისი ალალი სახე, დაძარღვული ხელები და ვაჟკაცური შემართება მიდგებოდა ხოლმე თვალწინ.

ეს ამბავი იმიტომ მოგახსენეთ, რომ ახლა, როცა რედაქციაში დამავალეს ელმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას ვწვეოდი, ძია სპირიდონი დამიდგა თვალწინ.

ოციოდე წელი გავიდა. სპირიდონ ზადიკაშვილი უკვე პენსიაზე იქნებოდა გასული, მაგრამ მივდიოდი და მწამდა, ქარხანაში აუცილებლად ვნახავდი სხვებს, ჩვენი მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს.

არც შევმცდარვარ.



დურგალთა კომუნისტური ბრიგადის ერთი ჯგუფი.

### შეხვედრა

უზარმაზარი კაბინეტის ბოლოში მაგიდასთან თავდახრილმა კაცმა თავი აილო, უცხო კაცად შემიცნო, ფეხზე წამოდგა და მაგიდასთან მიმიწვია. ასე გავიცანი ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივანი ამხანაგი ზაური.

ვზივართ და ვსაუბრობთ.

ქარხანაში თურმე თითქმის ყოველი მესამე კაცი კომუნისტია. წარმოებაში 14 საამქრო პარტიული ორგანიზაცია აქვთ, 28 პარტიული ჯგუფია შექმნილი. ზოგიერთ საამქროში იმდენი კომუნისტია, რომ განთავისუფლებული პარტიული ორგანიზაციის მდივანი მუშაობს.

არც არის გასაკვირი, რომ ყველა წვრილმანის, ერთი შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელო საკითხის მოგვარების ინიციატორები აქ კომუნისტები არიან. წვრილმანიდან დავიწყეთ, თორემ დიდსა და პრობლემატურ საკითხებს, რაღა კომენტარი უნდა — კომუნისტები წყვეტენ.

აი, თუ გნებავთ, ერთ-ერთი მათგანი ავიღოთ.

საწარმოს, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა ეწოდებოდა, ორთქლმავლები კი, როგორც ცნობილია, ისტორიის კუთვნილება გახდა. დღის წესრიგში დადგა მწვავე პრობლემა: ეს ძველისძველი საწარმო ან უნდა გაუქმებულიყო, ანდა თანამედროვე ცხოვრებისათვის აეწყო ფეხი, გარდაქმნილიყო და ისევ ხალხის სამსახურში ჩამდგარიყო.

ქარხნის მუშების ავანგარდში ახლაც კომუნისტები დადგნენ. მთელმა კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა, საწარმო ელექტრო-ვაგონშემკეთებელ ქარხანად გადაექციათ.

გადაწყვეტილებას შესრულება უნდა, მუშებს პირის გატეხვა არ სჩვევიათ. მიეძალნენ საქმეს. დღესა და ღამეს ასწორებდნენ. დაეხმარნენ, ხელი შეუწყვეს და დღეს ქარხანას ელექტროსექციების საუკეთესოდ შეკეთებაც შეუძლია.

მოგვარდა ეს საკითხი და ცხოვრებამ ახლა მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა წამოაყენა. ქარხნის ძველი, მობერებული კედლები ველარ იტევდნენ თანამედროვე ელექტროსექციებსა და ვაგონებს. მუშებს ხშირად ღია ცის ქვეშ უხდებოდათ მუშაობა. ამ საქმის მოგვარების ინიციატორებიც კომუნისტები გახდნენ.

წავიდეთ, ადგილზე ვნახოთ ყველაფერი, — მიბრძანებს პარტკომის მდივანი და ფიქრებში წასული დასძენს:

— თქვენ წინათ ლოტკინის გორაზე ხომ არ ცხოვრობდით?

შეხვედრაც ამას ჰქვია! ზაურ ზადიკაშვილი ძია სპირიდონის ვაჟიშვილი ყოფილა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

სპირიდონ ზადიკაშვილი (მარცხნივ) და ზაურ ზადიკაშვილი.

### კომუნისტური შრომის ბრიგადა

დურგალთა კომუნისტური შრომის ბრიგადაში თვრამეტი კაცი მუშაობს. კომუნისტმა ბრიგადირმა ვაჟა კუპრაძემ ნახევარზე მეტს თვითონ შეასწავლა ხელობა. ცალ-ცალკე კი არა, საქმემ მოითხოვა და, ერთად!

ქარხანა სახეს იცვლიდა. მუშაობის ახალ რელსებზე გადადიოდა. ერთ-ერთი მოძველებული დამხმარე საამქრო გააუქმეს. საამქროდან განთავისუფლებული ბიჭების მეურვეობა ვაჟამ იკისრა. ადმინისტრაციას მოაკითხა და რვა მათგანი თავის ბრიგადაში გადაიყვანა მოწაფეებად.

ეს მოწაფეები კომუნისტმა ბრიგადირმა მალე მოწინავე ხელოსნებად აქცია. ხარი ხართან დააბიო, ბიჭებმა სიბეჯითით, მუყაითობითა და საქმის სიყვარულით ისახელეს თავი.

თავდადებული შრომა, მომჭირნეობა და ყაირათიანობა — აი, ის მძლავრი ბერკეტი, რომელმაც ვაჟა კუპრაძის ბრიგადას კომუნისტური შრომის

# სიჭაბუკის ქალაქი



ლენინის ძეგლი კომკავშირულ ქალაქში.

თარხან არჩვაძის ფოტო.

ისინი პაპებთან, მამებთან, უფროს ძმებთან ერთად ამხობდნენ ცარიზმის თვითმპყრობელობას, უტევდნენ ზამთრის სასახლეს, შამხანით ხელში იცავდნენ რევოლუციის მონაპოვარს.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობა ისევ ძლიერ და საიმედო ძალად შეეხიდა სოციალისტურ სამშობლოს. ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები რევოლუციური გზნებით იბრძოდნენ დანგრეული სახალხო მეურნეობისა და გაჩანაგებული სოფლების აღსადგენად, მუშაობდნენ დატბორილ შახტებში, მარტენის ახალ საამქროებში ადნობდნენ ფოლადს, საფუძველს უყრიდნენ კომკავშირულ ქალაქს, აშენებდნენ ვოლხოვჰესსა და ზაჰესს.

როცა უღრუბლო ზეცა მიხაკისფრად მოიქუფრა, შავსვასტიკიანი ფაშისტებისაგან სამშობლოს დასაცავად ახალგაზრდებიც წამოიმართნენ. დიდი სამამულო ომის ისტორიამ წარუშლელი ასოებით ჩაწერა თავის მატიანეში კოსმოდემიანსკაიას, გასტელოს, მატროსოვის, კოშევოის, გამცემლიძისა და მრავალ სხვათა უკვდავი სახელები.

დიდი სამამულო ომის შემდგომი ხუთწლედები საბჭოთა ახალგაზრდობის სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, ლენინის საქმისადმი ერთგულების, ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის ახალი და ნათელი დადასტურება იყო.

საქმემ მოითხოვა, ფაშისტებისაგან დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღმშენებელ ხალხს ახალგაზრდები ამოუდგნენ გვერდში; პარტიამ დაავალა, დაირაზმნენ ახალგაზრდები და ყაზახეთის უკაცრიელ ადგილებში ყამირი გასტეხეს; სამშობლომ მოუწოდა, ჩრდილოეთის შორეულ რაიონებში გაემგზავრნენ ახალგაზრდები, ააგეს ახალი კაშხლები, ბაიკალ-ამურის მაგისტრალს გაუკაფეს გზა.

ჩვენი ახალგაზრდები ახლაც მზად, გულმართალი ფიქრითა და ჩვეული გაალმასებით იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. იბრძვიან და მოდის და მოდის სასიხარულო ცნობები ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან, მშენებლობებიდან და საკოლმეურნეო მინდვრებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან, სპორტული ბაზებიდან...

ამ სიხარულის შემოქმედნი ჩვენი გამარჯვებების აქტიური თანამონაწილენი, ჩვენი სამშობლოს იმედი, მამა-პაპათა ჭეშმარიტი საქმის ერთგული გამგრძობნი — ახალგაზრდა გვარდიელები არიან!

აი, ამიტომაც არიან ისინი საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილნი, აი, ამიტომაც არიან ისინი ჩვენთვის უპირველესნი., სოციალისტურ სამშობლოში ამიტომაც კეთდება ყველაფერი მათი სიკეთისათვის, მათი სწავლა-შრომისათვის, გართობა-დასვენებისათვის, მათი ბედნიერი, კიდევ უფრო ნათელი ხვალინდელი დღისათვის.

ამ ბედნიერ ხვალინდელ დღეზე ფიქრის, ახალგაზრდების იდეურ-პოლიტიკური დონის, მათი პატრიოტიზმის, ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის ამაღლებისათვის ბრძოლის კიდევ ერთი თვალნათელი დადასტურებაა ჩვენს რესპუბლიკაში კომკავშირული ქალაქის მშენებლობა.



კომკავშირული ქალაქის მაკეტი.



სასწავლო კორპუსის საქტო დარბაზი.

ბორის ძნელაძის სახელობის კომკავშირული ქალაქის აგება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს მთავრობის, ჩვენი ხალხის ნებისა და სურვილის გამოხატულებაა. ამ დიდ და კეთილშობილურ საქმეში მკაფიოდ იგრძნობა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერა და დახმარება.

როგორი იქნება ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ქალაქი? რა მიზნები და ამოცანებია გადასაჭრელი მის წინაშე?

კომკავშირული ქალაქი — ბორის ძნელაძე, უპირველეს ყოვლისა, კომკავშირული აქტივის აღმზრდელობითი მუშაობის უდიდეს კერად გადაიქცევა. იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ახალგაზრდა კადრების თეორიული და პრაქტიკული მომზადების საქმეში.

კეთილმოწყობილ ქალაქში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ყოველთვიურად ჩამოვლენ და გადასამზადებელ კურსებს გაივლიან კომკავშირული მუშაკები.



ქარხნის ახალი კორპუსის მშენებლობაზე. სამუშაოთა მწარმოებელი ალექსანდრე მალიშევი.

ბრიგადის საპატიო სახელი მოუხვეჭა.

რა არის მინა? ერთი შეხედვით, არცთუ ისე. მნიშვნელოვანი და არცთუ ისე ძვირად ღირებული რამ.

დადგენილი ნორმა შესაკეთებელი ვაგონებიდან მინების მოხსნას არ ითვალისწინებდა. აი, ამიტომაც იყო, რომ კაპიტალური შერემონტების დროს, წლების მანძილზე, ვაგონებში უამრავი მინა იმსხვრეოდა.

— ნუთუ მინა უფრო მეტი არ ღირს, ვიდრე მისი მოხსნისათვის დახარჯული დრო? — ეს კითხვა მოსვენებას არ აძლევდა კომუნისტ ბრიგადირს.

ვაჟამ თავისი ფიქრები ბიჭებს გაუზიარა. მეტი არც უნდოდათ მათ, დაიანგარიშეს, ყველაფერი აწონ-დაწონეს, ბრიგადირს ამოუდგნენ მხარში და შესარემონტებელი ვაგონებიდან მინების წინასწარ მოხსნა დაიწყეს.

ბრიგადა ახლა ასეულობით მინას ზოგავს და განა მარტო მინას! ვაგონებიდან ხის და ზოგიერთი სხვა ნაწილების წინასწარი ჩამოხსნაც დაიწყეს.

ვაჟა კუპრაძის ამ მარტივი წინადადების განხორციელებამ ქვეყანას ათასობით მანეთი და უამრავი მინა დაუზოგა.

## ისინი ბევრნი არიან

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

ერთ პატარა ნარკვევში შეუძლებელია სანაქებო საქმეთა ჩამოთვლა ყველა იმ კომუნისტი მუშისა, რომლებიც ქარხანაში გავიცანით.

ეს ქარხანა ერთ-ერთი უძველესი საწარმოა საქართველოში. იგი ჩვენი მრეწველობისა და მუშათა კლასის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი სამჭედლოა.

რევოლუციური ტრადიციების საწარმოში დღესაც სათუთად ინახავენ იმ ჩარხს, რომელზეც მუშაობდა შემდგომში გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე მიხეილ კალინინი. აქ, ამ ქარხნის კედლებში შრომობდა დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქარხანა მრავალი თვალსაჩინო წამოწყების მოთავე, მუშური სინდისის, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ეტალონი იყო. სწორედ აქ ააფრიალეს პირველ ხუთწლედებში დამკვრელური შრომის დროშა საქვეყნოდ ცნობილმა მჭედელმა დავით ჭიჭინაძემ, მექვაბე მიხეილ გეწაძემ, აირშემდუღებელმა ზაქარია ნადირაძემ. სტახანოვური მოძრაობა, ლითონის ჭრის ჩქაროსნული მეთოდი, პროფესიათა შორის შეჯიბრება და სხვა მრავალი პატრიოტული თაოსნობები ჩვენს რესპუბლიკაში პირველად სწორედ ამ ქარხნის საამქროებში დაიბადა.

ტრადიცია გრძელდება, იზრდება და ღრმავდება.

რევაზ მოსიაშვილი 18 წლისა იყო, როცა ი. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მოვიდა. იგი დიდი ოქტომბრის ტოლია. წელს 60 წელი უსრულდება.

უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ნოდარ აბუსერიძე (მარჯვნივ) და ოსტატი თემურ შარიქაძე.





ახალი კორპუსის მშენებლობა.

კომკავშირული კადრების ამ ახალ სამჭედლოში სწავლება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით იწარმოებს.

თავიანთ ქალაქში ახალგაზრდები მნიშვნელოვნად აიმაღლებენ კვალიფიკაციას, გაივლიან კომკავშირული მშენებლობის სპეცკურსს, უფრო ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, აიმაღლებენ თეორიულ დონეს, განიხილავენ და გააანალიზებენ სხვადსხვა აქტუალურ საკითხებს.

ყოველივე ეს, ცხადია, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს განთავისუფლებულ კომკავშირულ მუშაკებს უფრო უკეთ წარმართონ თავიანთი პრაქტიკული მუშაობა, უფრო ღრმად და ნათლად გააცნონ ახალგაზრდებს პარტიის მიერ ჩვენი ხალხის წინაშე დასახული ამოცანები.

კომკავშირულ ქალაქში მალე გადაინაცვლებს პიონერმუშაკთა რესპუბლიკური სკოლა და ეს ქალაქი პიონერმუშაკთა სწავლების რესპუბლიკური ცენტრიც გახდება.

კომკავშირული ქალაქი, რომელშიც რესპუბლიკური კომკავშირული სკოლაა მოთავსებული, მარნეულისკენ მიმავალი გზის გასწვრივ შენდება.

ქალაქში მისულ სტუმარს შესასვლელთან კვარცხლბეკზე წამომართული ვ. ი. ლენინის ქანდაკება ეგებება.

თვალწინ იტაცებს ახლადგაყვანილი გზის ირგვლივ ჩარიგებული გაზონები. ერთმანეთის გვერდით აშოლტილი ნაძვები, კასრში გახარებული და რესპუბლიკური კომკავშირული სკოლის სასწავლო კორპუსის წინ გამოტანილი ჩინური პალმები.

ყველაფერს კამრჯე, მზრუნველი და საქმის მოსიყვარულე ადმიანის ხელი ატყვია.

თანამედროვე სტილით ნაგები სასწავლო კორპუსი გემოვნებით არის მოწყობილი საუკეთესო ავეჯით.



სამღებრო საამქროს ოსტატი სპირიდონ ზადიკაშვილი.

სახელოვნად გალია ეს სამოცი წელი კომუნისტმა. „საპატიო ნიშნის" ორდენის კავალერმა რევაზ მოსიაშვილმა. ირჯებოდა, ილვწოდა, ქარხნის სახელს უფრთხილდებოდა. საერთო წარმატებაში ცოტა წვლილი როდი მიუძღვის პარტჯგუფორგ რევაზ მოსიაშვილს. კომუნისტი მუშაკაცი ბრიგადის წევრებთან ერთად ახლაც ყოველდღიური მსჯელობის საგნად ხდის საჭირბოროტო საკითხებს; პარტიული ჯგუფი ოპერატიულად იღებს საჭირო გადაწყვეტილებებს და კომუნისტური მომთხოვნელობით იბრძვის ამ გადაწყვეტილებათა სრული შესრულებისათვის.

ვის არ სმენია ქარხანაში გივი გაჩეჩილაძის სახელი?!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის ბიუროს წევრი, რაიონის დამრიგებელთა საბჭოს ხელმძღვანელი, კომუნისტი ხარატი გივი გაჩეჩილაძე ერთ-ერთი იმათთაგანია, რომლებიც ქარხანაში აქტიურად იბრძვიან წარმოების დონისა და ხარისხის ამაღლებისათვის, დისციპლინისა და კომუნისტური მორალის დამკვიდრებისათვის, პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

ბევრნი არიან რევაზ მოსიაშვილისა და გივი გაჩეჩილაძის მსგავსნი ქარხანაში.

## მომავლის კონტურები

ახლადგაჭრილი ვიწრო არხებით, ზვინებად დადგმული სამშენებლო მასალების ნარჩენებით ავსებულ ქარხნის ეზოში მივაბიჯებთ. ორნი ვართ. ზაურ ზადიკაშვილი და მე.

უზარმაზარი შენობის წინ რამდენიმე ვაგონი დგას. იქვე მუშები ფუსფუსებენ.

— აქ ელექტროსექციების შემკეთებელი საამქროა, — მიხსნის მეგზური, — წინათ ვაგონებს სარემონტოდ მარტივი ოწინარითა და შიშველი ხელებით ვაყენებდით. ახლა კი, შეხედეთ, ღილაკს თითს დააჭერთ და სასურველ სიმაღლემდე აიწევა ვაგონი.

ქარხნის ეზოს შუაგულში უკვე მთავრდება ახალი კორპუსები. თვალი ძლივს სწვდება ჭერმაღალი შენობის სიგრძე-სიგანეს. მის კედლებში გაცხოველებით მონტაჟდება სამამულო და უცხოური დანადგარები.

რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ საამქროთა რაოდენობა გაიზრდება. ქარხანას საშუალება მიეცემა, ელექტროსექციებთან და სამგზავრო ვაგონებთან ერთად, მეტროპოლიტენის ვაგონებსაც გაუკეთონ კაპიტალური რემონტი.

აქ, ქარხნის ძველ ტერიტორიაზე, ფაქტიურად ახალი, თანამედროვე ტიპის მძლავრი საწარმო იბადება.

ამ სიახლის დაბადებაში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწარმოს კომუნისტებსაც მიუძღვით ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი.

დაწყებულ საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა. რეკონსტრუქცია უამრავ მიწისქვეშა სამუშაოებს მოითხოვს. ჰოდა, ზოგჯერ მასალა მოაკლდებათ ხოლმე, ზოგჯერ მიწისქვეშა კომუნიკაციები ირღვევა, ზიანდება ელექტროგაყვანილობა.

ქარხნის ადმინისტრაციასთან ერთად მაშინვე საბრძოლო განგაშს სტეხენ კომუნისტები. მთელი კოლექტივი ირაზმება და მწყობრში დგება ისევ ყველაფერი.

— აგერ მამა, — მეუბნება თანამგზავრი.

მე უკვე ვიცი, რომ ძია სპირიდონი პენსიაზე გასვლის შემდეგ ისევ ქარხანაში დაბრუნდა. ვერ გაუძლო შინ გულმა და დაბრუნდა.

ოციოდე წლის დაგვიანებით ვეცნობი მას. ვსაუბრობთ და ვეტერანი კომუნისტი მთელი მუშების ფიქრს მიზიარებს:

— მეცხრე ხუთწლედში არ შეგვირცხვენია თავი. მეათე ხუთწლედი უკეთესი მაჩვენებლებით უნდა დავამთავროთ! კომუნისტები ყველაფერს ვიღონებთ, რომ ჩვენმა ქარხანამ კვლავაც ისახელოს თავი.

სასიამოვნოა, ამას რომ მეუბნება ქართველი მუშაკაცის ტიპიურ სახედ ჩემს გონებაში აღბეჭდილი ძია სპირიდონი!

**გიგლა აგდალაძე**

ამ მოხდენილ შენობაში მოთავსებულია სასწავლო აუდიტორიები, მეთოდური და სოციოლოგების კაბინეტები, სხდომათა დარბაზი, ორატორული ხელოვნების დაუფლების განყოფილება, ბიბლიოთეკა, ადგილობრივი რადიო-ტელეცენტრი, სხვადასხვა კაბინეტ-ლაბორატორიები.

სასწავლო კორპუსის წინ, მომავალ ყვავილნარში, აღმართულა ვეებერთელა ლოდი, რომელზეც წაუწერიათ; „აქ დაიდგმება ბორის ძნელაძის ძეგლი".

„საქქალაქმშენსახპროექტის" ინსტიტუტში მოხდენილად და ყოველმხრივ გააზრებულად დაუმუშავებიათ ახალგაზრდული ქალაქის გენერალური გეგმა.

არქიტექტორები: შ. ბურჯანაძე (მარცხნივ) და ვ. ცუხაშვილი მუშაობენ კომკავშირული ქალაქის პროექტზე.



ამ გეგმის მიხედვით, ქალაქში აშენდება პიონერ-მუშაკთა რესპუბლიკური სკოლის შენობა, კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლები, ადგილობრივი დანიშნულების სტამბა, გარაჟი.

კომკავშირულ ქალაქს დაამშვენებს 350 ადგილიანი კინოთეატრი, დახურული საცურაო აუზი, კაფე-სასადილო, სპორტული კომპლექსი ფეხბურთის, კალათბურთის, მოედნებით, ტენისის კორტებით.

გადაწყვეტილია დიდხევში წყალსაცავის შექმნა.

ხეივნით დაფარულ ფერდობზე ჩარიგდება ოცი მოხდენილი და საცხოვრებლად მოხერხებული კოტეჯი, რომლებშიც მოეწყობა კომკავშირული და პიონერული აქტივის დასასვენებელი ბანაკი.

კომკავშირული ქალაქის გარშემო ტერიტორიაზე გადაწყვეტილია გაშენდეს ახალგაზრდული ტყე-პარკი.

ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მშვენება — კომკავშირული ქალაქი მწყობრში დგება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 საიუბილეო წელს.

ეს ნათელი, ბედნიერი ცხოვრება ჩვენს ახალგაზრდებს სწორედ დიდმა ოქტომბერმა მოუტანა.

აი, ამიტომაც არიან ისინი უსაზღვრო ერთგულნი სოციალისტური სამშობლოსი, აი, ამიტომაც არიან ისინი მზად კვლავაც ერთგულად ემსახურონ პარტიასა და ხალხს.

**შოთა ივანიშვილი**

მშენებლობის ერთი უბანი.





დიდ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს აკადემიკოს აკაკი შანიძეს მიმდინარე წლის 26 თებერვალს დაბადების 90 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „დროშის" სარედაქციო კოლეგია, თანამშრომლები, თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად, მხურვალედ ულოცავს მხცოვან მეცნიერს, ჩვენი ჟურნალის უახლოეს თანამშრომელს სახელოვან იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას.

# დიდი მეცნიერი და მამულიშვილი

**გრიგოლ აბაშიძე**

აკადემიკოს აკაკი შანიძის 90 წლისთავის საიუბილეო ზეიმი მთელი ქართული კულტურის დღესასწაულია.

თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და ქართული ენის მეცნიერების შემქმნელი აკაკი შანიძე აგერ შვიდი ათეული წლის მანძილზე ეწევა დიდ სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობას.

ქართული და ქართველური ენების დიდი მკვლევარის სამეცნიერო ინტერესი მუდამ ფართო და მრავალმხრივი იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემაზე გაწეული მეცნიერის შრომა და ის მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც მან შეიტანა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის კვლევასა და დადგენაში.

აკაკი შანიძემ დიდი ღვაწლი დასდო ჩვენი კლასიკოსების ენის შესწავლას, ხოლო ხალხური პოეზიის შეგროვებისა და მეცნიერულად შესწავლის საუკეთესო ნიმუშად დღემდე რჩება მის მიერ გამოცემული ხევსურული პოეზია, რომელიც სავსეა ამ პოეზიის მართლაც სწორუპოვარი მარგალიტებით, ხალხური შედევრების უთვალავი ვერსიებითა და ვარიანტებით.

დიდ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად აკაკი შანიძე თითქმის განუწყვეტლივ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მე ერთი მათგანი ვარ, ვისაც ბედნიერება ჰქონდა ყოფილიყო მისი სტუდენტი და წლების განმავლობაში ესმინა გონებამახვილი იუმორით შეფერილი მისი დაუვიწყარი ლექციები.

როცა შემოქმედი თავის საყვარელ საქმეს გატაცებითა და თავაუღებლად აკეთებს მრავალი წლის განმავლობაში, მისი გონება, ეტყობა, არ იღლება და ახალგაზრდულ ელვარებას არ ჰკარგავს. ნათქვამის დასტურად მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიიდან ბევრი მაგალითის მოხმობა შეიძლებოდა. ჩვენს პირობებში კი აკაკი შანიძე არის უბერებლობისა და გონებრივი მოუღლელობის მართლაც შესანიშნავი ნიმუში. მისი ბოლო წლების გამოკვლევები კვლავაც უმაღლეს მეცნიერულ დონეს ინარჩუნებენ და იმაზე მეტყველებენ, რომ მისი ნათელი გონება სკლეროზის მსახვრელი ხელისათვის ბოლომდე მიუწვდომელი რჩება.

კიდევ დიდხანს არ დაღლილიყოს სამშობლოსა და მეცნიერების სამსახურში ჩვენი დიდი სწავლული და მამულიშვილი, ჩვენი საყვარელი ბატონი აკაკი.



90

აკაკი შანიძე

# საქართველოს ახალგაზრდობას

ახალგაზრდებო, ვაჟებო და ქალებო!

თქვენ მოგმართავს კაცი, რომელიც 80 წლისა გახდა და რომელსაც თავისი სიცოცხლის გრძელ მანძილზე ბევრი რამე უნახავს და დიდი გამოცდილება მიუღია. მინდა ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ.

გამიგონია: ახალგაზრდას უთქვამს: ნეტაი ვიცოდე! მოხუცს უპასუხნია: ნეტაი შემეძლოს! ამ სიტყვებით დიდი სიბრძნეა გამოხატული. მართლაც, ახალგაზრდებს ცოდნა აკლიათ, მოხუცებს — ძალ-ღონე, რომ შეძენილი ცოდნა სათანადოდ გამოიყენონ. ცხოვრება კი ისეთია, რომ ცოდნის გარეშე ვერას გახდები, განსაკუთრებით ჩვენს ურთულეს დროში. ამიტომ პირველი, რაც უნდა გირჩიოთ, ეს არის ცოდნის შეძენა განსაკუთრებით იმ დარგში, რომელიც თქვენ გიყვართ, რომელიც თვითეულ თქვენგანს მოსწონს, რომელიც გეადვილებათ. ვთქვათ, მათემატიკაში გაქვთ ნიჭი. მიჰყევით და სპეციალობად მათემატიკა აირჩიეთ; თუ ფიზიკა გეადვილებათ და მისკენ მიგიწევთ გული, ნუ დაიხევთ უკან, მიჰყევით გულის წადილს და ყოველგვარად ეცადეთ ფიზიკის დაუფლებას; თუ ისტორია გიყვართ და ადვილად იხსომებთ თარიღებს, ისტორიულ პირთა ნამოქმედარს და, საზოგადოდ, ისტორიულ მოვლენებს, არაფერი უნდა დაგიდგეს წინ, რომ თქვენ თქვენი საყვარელი საგნის ყოველმხრივ შესწავლას მოჰკიდოთ ხელი.

მეორე, რაც უნდა გირჩიოთ, ეს არის მუდმივი შრომა. როგორი ნიჭიც უნდა გქონდეთ, უშრომლად ვერაფერს გააკეთებთ. საჭიროა მუდმივი, შეუნელებელი და შეუწყვეტელი მუშაობა, რომ თქვენი ნიჭი სათანადოდ გაიფურჩქნოს და საჭირო საქმე გააკეთოს.

უნიჭოდ, რა თქმა უნდა, ვერაფერ მნიშვნელოვანს შექმნის კაცი, მაგრამ, თუ ნიჭი არ იქნა მოვლილი, თუ იგი შრომით არ იქნა გაბრწყინებული, ისე დაილუპება, რომ ვერავითარ კვალს ვერ დასტოვებს. ამას გარდა, რაც უნდა ცოდნა შეიძინოთ თქვენ მიერ არჩეულ დარგში, უნდა გახსოვდეთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი გაკლიათ; არ უნდა დაკმაყოფილდეთ იმით, რაც იცით და უნდა ეცადოთ კიდევ უფრო დაწინაურებას, არ უნდა ჩამორჩეთ თანამედროვე დონეს მეცნიერებისა და ტექნიკისას, რომელშიც თქვენ მუშაობთ.

ადვილია თქმა, ცოდნა უნდა შეიძინოო, მაგრამ ამას თავდადებული შრომა უნდა, შრომა დაძაბული და ხალისიანი, შრომა გულისა და სულის გამახარებელი, შრომა ადამიანობის ნიშანი და სამკაული.

მესამე, რაც უნდა გირჩიოთ, ეს არის მიზანდასახულება, რომელიც უნდა გამოძრავებდეთ მთელს თქვენს ყოფა-ქცევაში, მთელს თქვენს საქმიანობაში.

ცოდნის შეძენა კარგია, რადგანაც, როგორც დ. გურამიშვილმა თქვა:

„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი", მაგრამ რას უნდა ემსახურებოდეს თქვენი ცოდნა? იგი უნდა მოემსახუროს ხალხს, ფართო მასებს, ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, ხალხის სამსახურის გარეშე ცოდნა უქმია და უნაყოფო, მხოლოდ ხალხისთვის სარგებლობის მოტანის სურვილი აძლევს ცოდნას აზრსა და სიმტკიცეს.

თქვენ უნდა გახსოვდეთ, ახალგაზრდებო, რომ ძველი თაობის წარმომადგენლები „დღეს არა, ხვალე მოვკვდებით, სოფელი ასრე მქნელია" და ჩვენს შემდეგ თქვენ უნდა ჩასდგეთ ხალხის სამსახურში. ჩვენ თქვენზე ვამყარებთ ჩვენს იმედებს ჩვენი ქვეყნის მოვლისა, შენახვისა და შემდგომი წინსვლისათვის. მხოლოდ ღირსეულ პირთ შეუძლიათ ქვეყანას წარუძღვენ სწორი გზით და შეუნარჩუნონ ჩვენს ერს თავისი ადგილი მსოფლიოში.

ახალგაზრდებო, თქვენი ბედი და ჩვენი ქვეყნის მომავალი თქვენზეა დამოკიდებული, თუ მოინდომებთ, შორს გაიგდებთ თქვენს სახელს და ჩვენს ქვეყანასაც ასახელებთ ხალხის სიყვარულით და ხალხის სამსახურით.

გამოცდილებით ვიცი, რომ ცოდნის შეძენა უფრო ახალგაზრდობაშია ადვილი. ამიტომ უნდა ერიდოთ დროს ტყუილ-უბრალოდ დაკარგვას, უდარდელობას და ფუქსავატობას. უნდა ეცადოთ ცოდნის შეძენას და გაღრმავებას, რომ ღირსეულად შეხვდეთ მომავალს. ყველა თქვენგანს შეუძლია დიდი საქმე გააკეთოს და ვალი მოიხადოს ქვეყნის წინაშე. თქვენი გამარჯვებისა, ახალგაზრდებო! აბა, თქვენ იცით!

* ამ წერილით მხცოვანმა მეცნიერმა 10 წლის წინათ მიმართა საქართველოს ახალგაზრდობას.

# მოგონება

პროფ. მ. ნოდიაძე

1907 წელია. ვსწავლობ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მე-5 კლასში და მაისის ბოლოს გადავედი მე-6-ში.

მოვისურვე, მოვემზადებულიყავ ზაფხულში, დამეჭირა გამოცდები მეექვსე კლასის საგნებში, გამომეტოვებინა მეექვსე და დავმჯდარიყავ უშუალოდ მე-7 კლასში.

ჩემი ზრახვები გავანდე ჩემს ბიძაშვილს და მეგობარს ბიქტორ შანიძეს, რომელმაც მირჩია, წამელო წიგნები და წავსულიყავით გურიის მთაზე, სადაც მეგრელები მიერეკებოდნენ სოფლის ნახირს საძოვებლად. ერთ სულ საქონელზე აძლევინებდნენ, რამდენადაც მახსოვს, ორ მანეთს, ისინივალდებული იყვნენ იალაღზე გაესუქებინათ საქონელი და ორთვე-ნახევრის შემდეგ დაებრუნებინათ. ვალდებული იყვნენ აგრეთვე: სადასური ეზღოთ, თუ ვინცობაა საქონელი გადავარდებოდა კლდეზე ან მგელი შეჭამდა და სხვა.

მეგრელებმა ამოიარეს, მოკრიბეს საქონელი და გაუდგნენ გურიის გზას. ჩვენი საქონელი ჩამორჩა, რადგანაც სამუშაოები გვქონდა. ერთი კვირის შემდეგ ჩვენ თვითონ გავრეკეთ ჩვენი საქონელი, ჩემთან ერთად მოდიოდა ბიქტორი და ერთი მეზობელი თავის საქონლით. მან თითქო კარგად იცოდა გზები მთებში. პირველ დღეს გავიარეთ სურები და ავედით ტობახჩას,[1] სადაც შევისვენეთ. ცოტა წამოწვიმა და ავედით სასიმინდეში და იქ გავათიეთ ღამე. რადგანაც ძალიან დაღლილი ვიყავ, სასიმინდის ჭერებზე ისე მეძინა, თითქო ბუმბულში ვიწექი.

მეორე დღეს დილით ადრე ავუდექით შუაგორის გზას, გავსცდით შუაგორას და ავედით მთებში. აქ ცოტად გზა აგვერია. გავსძახ-გამოვსძახეთ ხევიდან ხევში და გვასწავლეს გზა ჩვენი მასპინძელი მეგრელებისკენ. ავედით დაქანცულები და რამდენადმე დასველებულები, რადგანაც მთაში ნისლი იდგა. იმ ღამეს იქ დავრჩით. მეგრელი მენახირეები (ცვარაცხელიები) გაგვიმასპინძლდნენ ღომით და ყველით.

მეორე დღეს რომ წამოვიშალენით და ვისაუზმეთ, ნისლი ისევ ეხვია ჩვენს მთას, კარვის ირგვლივ სარ-ძრობისაგან ატალახებული იყო იქაურობა, სე არსად იდგა საჩრდილობელი. მე ვიფიქრე: ასეთ პირობებში მე ვერ მოვემზადები და ჩემს სურვილს ვერ შევასრულებ-მეთქი. დავაპირე დაბრუნება შინ. ბიქტორი მეხვეწებოდა: დაიცადე, კაი ამინდი გამოვა და წიგნის კითხვას და მზადებას შესძლებო, მაგრამ მე ვერ დავეთანხმე და ვიარა. ავილე ჩემი წიგნები, ჩანთა მოვიგდე ზურგზე და წამოვედი. წამომყვა, მეტი გზა არ იყო, ბიქტორიც. გზაში ჩალვადრები („ჩალანდრები") წამოგვეწივნენ, რომელთაც ყველი მოჰქონდათ გასასყიდად, ეს ჩალანდრები აღმოჩნდნენ ახალთაობის კაცები, რომელთაც აგიტატორებისაგან ზოგი რამ ეხწავლათ.

ვიარეთ, ვიარეთ და გვიან საღამოს უკვე ჩვენს სოფელში ვიყავით. ისე დავიღალე, რომ აღარაფრის თავი მქონდა და მივეგდე დასაძინებლად. თუ იქეთობას ორი დღე მოვუნდით, აქეთობას ერთი დღე მოვანდომეთ. მერმე სოფელშიც არ დამიდგა გული და ქუთაისში ავედი, მოვნახე ძველი ბინა ადამიებისას და შევუდექით მზადებას.

რადგანაც მასწავლებელი არ მყავდა, მიხდებოდა ძალიან დაძაბვა და წიგნებით სწავლა. ევროპის საშუალო საუკუნეთა ისტორიაში, მაგალითად, ორი წიგნი მქონდა: ერთი კარეევისა, მეორე სხვა. ერთით ვსწავლობდი, მეორეთი ვამოწმებდი ჩემს ცოდნას.

გამოცდებზე რომ მივედი, მასწავლებელმა (მ. ხალაძემ) მკითხა: როგორ ასერხებდა ესპანეთი ნიდერლანდის ხელში ჰქონდა. მე ვუპასუხე, რომ იგი ატარებდა divide et impera-ს („გაყავი და იბატონე-ს") პრინციპს-მეთქი. მერმე რუსეთის ისტორიაზე გადავიდა და მკითხა: ბორის გოდუნოვი რატომ უარობდა სახელმწიფოს სათავეში ჩადგომას, ნუთუ მას ეს არ უნდოდაო? ნდომით კი უნდოდა, მაგრამ მას სურდა, რომ მიეღო ხალხის სანქცია-მეთქი, რომ ხალხს თვითონ გამოეთხოვა იგი სახელმწიფოს მეთაურად-მეთქი.

ამის გაგონებაზე მ. ხალაძე მიუბრუნდა იქვე მდგომ მოწაფეს, რომელსაც დამატებითი გამოცდები ჰქონდა დანიშნული მე-7 კლასში გადასასვლელად: რა არის სანქციაო? მოწაფეს ჩაუვარდა ენა და ვერაფერი თქვა.

ასე თუ ისე მე გამოცდები ჩავაბარე ყველა საგანში და მიმიღეს მე-7 კლასში.

თურმე ჩემთან ერთად კლასის გამოტოვებას და შემდგომ კლასში გამოცდების დაჭერას აპირებს სხვა გიმნაზიელიც, მიხეილ ნოდია. ოღონდ ის იყო გადასული მეხუთე კლასში, მომზადებულიყო ამ კლასის საგნებში და ჩინებულად დაიჭირა გამოცდები. ისიც ჩარიცხეს და შემდეგ განაგრძო სწავლა ჩინებულად. ამ გამოცდებზე მოხდა ჩვენი გაცნობა და მერმე ვმეგობრობდით 2 წლის განმავლობაში, შემდეგ მე პეტერბურგს გავემგზავრე და იქვე განვაგრძე სწავლა უნივერსიტეტში. მ. ნოდიასთან ახლო ნაცნობობა და მეგობრობა დამყარდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ.

მიხეილ ნოდია იყო მეტად თავმდაბალი და ჩუმი მუშაკი, რომელიც მზად იყო დახმარებოდა ყველას. სხვათა შორის, ის იყო დაჯილდოებული ფილოლოგის ნიჭით და ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა ქართული და მეგრულის შესწავლის საქმეში.

გამოჩენილი მეცნიერის მიხეილ ნოდიას სახელი მუდამ დაუვიწყარი დარჩება კეთილ მოსაგონრად ქართულ მეცნიერებაში.

[1] ტობახჩე — ტობაჭჩე „თეთრი ტბა".

# ახალგაზრდული შემართებით



ინსტიტუტის კვლევითი სექტორის ახალგაზრდა თანამშრომლები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტიტუტის სასწავლო სექტორის მთავარი კორპუსის შესასვლელთან.



პროფესორი არჩილ ნატროშვილი ესაუბრება ასპირანტ მიხეილ აბულაშვილს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომლები, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად, თავდადებით იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ამ საერთო-სახალხო ბრძოლაში დიდი ადგილი ეთმობა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ წინსვლასა და განუხრელ აღმავლობას.

სასიხარულო ფაქტია, რომ ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს, მევენახეებს, მეციტრუსეებს, მეთამბაქოებს, მეხილეებსა თუ მხვნელ-მთესველებს უკანასკნელ ხანებში მეცხოველეებმაც აუბეს მხარი.

„გადავაქციოთ საქართველო მოწინავე მეცხოველეობის რესპუბლიკად!“ ასეთია ახლა ჩვენი მშრომლების ერთ-ერთი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანა.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაში თავისი წვლილი შეაქვთ საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებსაც.

ინსტიტუტი ემსახურება მაღალკვალიფიციური ზოოინჟინრებისა და ვეტერინარი ექიმების აღზრდას; მუშავდება მთელი რიგი მეცნიერული პრობლემები, რომლებიც ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას. მარტო შარშან ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლების მიერ დასანერგად წარდგენილი იქნა და უკვე ინერგება 11 მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიება, რომლებიც ეხება ბუნებრივი საძოვრების გაუმჯობესების, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ინტენსიურ სუქების, რძის შემცვლელის გამოყენების, ჯიშსანაშენო საქმის სრულყოფის და სხვა პრობლემატური საკითხების გადაჭრას.

დასანერგად წარდგენილია აგრეთვე პრეპარატებისა და ბიოპრეპარატების გამოყენების დასაბუთებული მეთოდები. ისინი ხელს შეუწყობს ცხოველთა და ფრინველთა სიკვდილიანობის შემცი-



პროფესორი იროდი კვაჭაძე ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ ჯ[illegible] ფოტო.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატ თენგიზ ფირცხალაიშვილს (მარცხნიდან მესამე), მეუღლის დაბადების დღეს შინ მეგობრები ეწვივნენ.



რებას, გაზრდის მათ პროდუქტიულობას, რაც მილიონობით მანეთის ეკონომიას მისცემს სახელმწიფოს.

აქტუალური საკითხების გადაჭრაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს. 1976 წელს ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, რომელმაც ხელი შეუწყო ახალგაზრდების მეცნიერული მუშაობის შემდგომ გაძლიერებასა და გაღრმავებას.

ახალგაზრდა სპეციალისტები ამუშავებენ ისეთ პრობლემურ საკითხებს როგორიცაა: ჯიშთსანაშენო საქმის, საკვების წარმოების, ბუნებრივი სავარგულების გაუმჯობესების და ვეტერინალური მომსახურების საკითხები.

ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკები სისტემატურად უწევენ მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას რესპუბლიკის მეცხოველეობის ობიექტებს, ნაყოფიერად მონაწილეობენ მეცნიერულ კონფერენციებში და სხვა ღონისძიებებში.

ახალგაზრდა მეცნიერთა პლეადა აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში, ინსტიტუტის რექტორატის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში.

ეთერ მაჭავარიანი



ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლები მზია ჟვანია და ჯემალ ბაბაკიშვილი.

ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატმა ბიჭიკო ჩიტიაშვილმა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი მიიღო ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციაში აქტიური მონაწილეობისათვის.



მეცნიერ თანამშრომელი, სპორტის ოსტატი ელგუჯა გუგუშვილი (მარცხნიდან მეორე) ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდის ერთ ჯგუფთან.



ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს სხდომა.



# თეთრწყაროელებთან

დილაა. ავტობუსი ალგეთის ხეობაში გაჭრილ გზას მიუყვება. გვერდით ხანში შესული გლეხი მიზის და ხეობას გასცქერის. დაბლა ქუჭყიანი თოფრა უდევს, შიგ რაღაც ფხვნილი ყრია. მოსახვევში თოფრა ჩემსკენ გადმოცურდა, მაგრამ გლეხმა უმალვე თავისკენ მისწია, ფეხებს შორის მოიგდო და აღარ გაუშვა.

სოფელი ბოგვი, სალრაშენი, ფარცხისი უკან მოვიტოვეთ, ჩხიკვთაზე ავიალმართეთ და ავტობუსი გაჩერდა. ჯერ ქალები ჩავიდნენ, მერე, ვიღაც მამაკაცი ამოვიდა.

— გამარჯობა, — იქ მყოფთ თავი დაგვიკრა და თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა.

ჩემს გვერდით მჯდომს სახეზე ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა, ცოტა ხანს აცალა, მერე გადაიხარა და მხარზე ხელი დაუტყაპუნა:

— თედო, ველარ მიცანი?

— სოლკა, შენა?... — და ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— საით გაგიწევია? — შეეკითხა ახლადმოსული ჩემს გვერდით მჯდომს.

— ამირანთან მივდივარ, — სოლკამ თოფრა მუხლებზე დაიდო, პირი მოუხსნა, ქატოსავით ნაღერღი ამუჭა და თედოს გაუწოდა, — ნახე, მოზვრები ინტენსიურ სუქებაზე დაგვაყენებინეს და კომბინირებული საკვების მაგივრად ლუდის ნაალაოარი ჩენჩო მოგვიტანეს. აბა, ამან რა საქონელი უნდა დაასუქოს?!

— თქვენს უფროსს ვერ უთხარი?

— ვუთხარი და დამიჯერა თუ რა? კომბინირებულ საკვებს არ მაძლევენ და მე რა ვქნაო.

— მიუტანე, ამირანი მოუვლის იმას, — ჩაილაპარაკა თედომ და განაგრძო, — გუშინ ჩვენსკენ ჩამოიარა ამირანმა. უფროსები აქეთ-იქით ეცნენ: აბა მარდად, სალორეს, სახბორეს, საძროხეს მივხედოთ, რაიმე უწესობა არ შენიშნოს, თორემ არ დაგვინდობს, ტყავს გაგვაძრობს, ერთმანეთს დამდუღრებულებივით აფრთხილებდნენ.

— ეგ დალოცვილიშვილი კაი ვინმე გამოდგა.

— მაშა, კაცო, სანამ მაგას გამოგზავნიდნენ, რა ამბავი იყო ხოლმე, აღარ გახსოვს?!

— აკი ერთ კაცს არაფერი შეუძლიანო?!

გზა საუბარში გამოლიეს, როცა თეთრ წყაროში შევედით, მძღოლს ავტობუსი გააჩერებინეს და ჩამოვიდნენ. მეც ჩამოვედი. ვინ ამირანზე ლაპარაკობდით-მეთქი, მინდოდა მეკითხა, მაგრამ გადავიფიქრე და ფართო ქუჩას ჩაფიქრებული გავუყევი.

* * *

ეს ტერიტორია ისეთია, რომ მთაცა აქვს და ბარიც. რაიონის ცენტრს — თეთრი წყაროს ოდესღაც გარისს უწოდებდნენ, მერე სახელი რამდენჯერმე შეუცვალეს.

ასეთი ჩვევა მაქვს, რაიონის გაცნობას მისი გაზეთის ფურცლებიდან ვიწყებ.

რედაქტორი თავის კაბინეტში დამიხვდა. ახლაგაზრდა, შავგვრემანი ქალია, მკვეთრად გამონაკვთული სახე და გამჭოლავი გამოხედვა აქვს; ნინო ჰქვია, გვარად კაველიძეა.

მაგიდის გვერდით ჩამოვჯექი. ის იყო მისვლის მიზეზი ავუხსენი და ტელეფონმა დაიწკრიალა. ნინომ ყურმილი აიღო.

— გისმენთ, — ჩასძახა ყურმილში და მაშინვე დაიძაბა. კარგა ხანს უსიტყვოდ უსმინა მოსაუბრეს, ბოლოს მშვიდად ჩაილაპარაკა, — ყველაფერი გასაგებია, პატივცემულო ამირან!

რატომღაც გონებაში გამიელვა, ავტობუსში ალბათ ამ ამირანზე ლაპარაკობდნენ-მეთქი. ნინოს ცნობისმოყვარეობით მივაჩერდი. რედაქტორმა თანამშრომელს გამოუძახა და უთხრა:

— ფოტორეპორტიორი წაიყვანე და ახლავე ენაგეთისკენ წადი. იქ რომელიღაც ნაკვეთზე ნათესი გაწრიოკებულა. სურათი გადაიღეთ. გაიგე ნაკვეთი ვის ეკუთვნის და წერილი გაამზადე.

— ვინ იყო ახლა რომ დაგირეკათ? — ვკითხე ნინოს, როცა მარტონი დავრჩით.

— რაიკომის პირველი მდივანი, ამირან გონაშვილი, — მ ომიგო ნინომ და მაშინვე დასძინა, — მოცდენილი ყანა უნახავს და იმაზე დამირეკა. თვითდამშვიდებას ნუ მიეცემით, კრიტიკა უფრო გაამახვილეთო. — რედაქტორმა რაიონული გაზეთის ახალი შეკვრა გადმოიღო და ჩემთვის საინტერესო რამდენიმე წერილი შემირჩია.

შეკვრა წინ დავიდე. გაზეთის ნომრების მრავალფეროვნებამ გამაოცა. რა საკითხი გსურთ, რომ მის გასაშუქებლად გაზეთში წერილი არ ყოფილიყო მოთავსებული: მიწათმოწყობაზე, მესაქონლეობაზე, აგროტექნიკაზე, ზოოვეტერინარულ რჩევაზე...

რესპუბლიკაში ერთ-ერთმა ჩამორჩენილმა რაიონმა თეთრმა წყარომ, განსაკუთრებით ბოლო სამ წელიწადში, თავი ისახელა და მეცხრე ხუთწლედში გეგმით გათვალისწინებული 31,2 მილიონი მანეთის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 33,3 მილიონი მანეთის მცენარეულისა და მეცხოველეობის პროდუქცია. მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელ ორ წელიწადში, წინა წლებთან შედარებით, სახელმწიფოს მიეყიდა მარცვლეული 67 პროცენტით მეტი, ხორცი 35 პროცენტით მეტი, რძე 30 პროცენტით მეტი. წლიური წარმოება საშუალოდ გაიზარდა: რძისა 11 პროცენტით, მარცვლეულისა 11 პროცენტით, ხორცისა 86 პროცენტით, კვერცხისა 305 პროცენტით. სამიოდე წლის წინათ რაიონის მთისა და ბარის მეურნეობები ჩამორჩებოდნენ, ზარალს იძლეოდნენ, ახლა კი ისინი მოგებით მუშაობენ. მიუხედავად ასეთი დიდი წარმატებებისა, რაიონში სამი მეურნეობა დღესაც ზარალიანია. სამივე ეს მეურნეობა მთის მძიმე ზონაშია განლაგებული და ძირითადად მესაქონლეობას მისდევს. რაიონის ხელმძღვანელობის მთელი ყურადღება ახლა იმაზეა მიპყრობილი, რომ უახლოეს ხანში ჩამორჩენილი მეურნეობაც მომგებიან წარმოებად აქციონ. ბრძოლის შედეგი უკვე ნათელია. აი, ამიტომაც იყო, რომ ამ სიახლემ დაგვაინტერესა და მოწინავე მეურნეობების ნაცვლად გეზი მანგლისის მეურნეობისაკენ ავიღეთ.

* * *

მეურნეობა მრავალ სოფელს აერთიანებს. მისი სამმართველო მანგლისშია. სანამ იქ ჩავიდოდი, თონეთის ბოლოზე საქონლის საზამთრო სადგომები აქვთ და მათ დათვალიერებას შევუდექი.

მეათე ხუთწლედის დასაწყისისთვის მანგლისელებს ძალიან უყოჩაღიათ: საქონლის საზამთრო სადგომების გარშემო მრავალი ახალი სასენაჟე ორმო გაუმართავთ, მოძველებული თავლების რეკონსტრუქცია და რემონტი დროულად ჩაუტარებიათ. რაც მთავარია, მხედველობიდან არ გამორჩენიათ მწყემსებისთვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა: მესაქონლეობის ყველა ბრიგადას თავის სააბაზანო, ცხელი წყალი, წითელი კუთხე აქვს. სადგომის ყველა კუთხე-კუნჭული ელექტრონით გაუნათებიათ, უდგათ რადიო, რეგულარულად მოსდით ჟურნალ-გაზეთები.

პირუტყვის საკვების უხვი მოსავლის მიღებისთვის მრავალ ჰექტარზე დაუთესიათ შვრია, მინერალური სასუქის შეტანის წყალობით, მეურნეობის მთელი არსებობის მანძილზე, ცხვრის გამოსაზამთრებელ ადგილზე — იალლუჯაზე წელს პირველად აიღეს თივის უხვი მოსავალი.

ქსილისის მთის სამხრეთით და ბედენის მთის ჩრდილოეთით მანგლისის მეურნეობის საქონელია გაშლილი. მწყემსმა დამინახა თუ არა, წინ-წასული დეკეულები შემოატრიალა და ჩემსკენ წამოვიდა. შევხედე და ვიცანი, სოლკა იყო.

— გამარჯობა, — მწყემსური გულღიობით მომესალმა და მერე ღიმილით დასძინა, — კაცო, ი ავტობუსიდან ძლივს დაგეხსენი და აქ რაღა გინდა, მე ხომ არ დამდევ?

— იმ შენი ნაალაოარი ჩენჩოსი რა ქენი, იყავი ამირანთან? — კითხვაზე კითხვა შევაგებე სოლკას.

— როგორ დაგხსომებია, — ჩაიცინა ჩემმა მოსაუბრემ და იქვე მოაყოლა, — ამირანი რაიკომის შენობის შესასვლელთან შემხვდა; მე რომ ჩემსას ვუყვებოდი, მას ეს ამბავი თურმე ჩემზე წინ სცოდნია. წადი და ყველაფერი რიგზე იქნება, შენ ოღონდ საქონელს კარგად მოუარეო, მითხრა. მართლაც, სანამ გამოვბრუნდი, სამი მანქანით კომბინირებული საკვები მოეტანათ, ის ნაალაოარი ლუდის ჩენჩო კი დამატებით საკვებად დაგვრჩა.

სოლკას ჩემი მთაში ამოსვლის მიზეზი ავუხსენი. ცოტა არ იყოს, უნდობლად შემათვალიერა,

— რაღა მთებისკენ მოდიოდი? — ხელი ბარისკენ გაიშვირა, — ჩვენს რაიონში ყველაზე მოწინავეები იქ არიან, იმათზე უნდა დაგეწერა, — ჩაფიქრდა და მერე სწრაფად დაუმატა, — არა უშავს რა, სულ მალე ჩვენც მოწინავეები ვიქნებით. ხელმძღვანელების ყურადღება აღარ გვაკლია. ოღონდ ეგ არის, გარემო ხელს არ გვიწყობს, ბუნება ძალიან გვეჯიუტება. მალე ალგეთის სარწყავი მეურნეობის მშენებლობას დაამთავრებენ და ბარელებს ათასი სიკეთე კიდევ შეემატებათ ნათესებში. აი, იმიტომ გვჯობიან ისინი, თორემ გარჯა ჩვენ იმათზე ნაკლები არ ვიცით.

— რა, მესაქონლეობა ნაკლებ მომგებიანია?

— გლეხი ვარ და ვიცი, რომ მიწა, როგორც არ უნდა გასცდეს, დაღვრილ ოფლს მაინც აგინაზღაურებს. საქონელი კი ადვილად დასახევ სისხლის გუდას ჰგავს, ყურადღება თუ ოდნავ მოუდუნე, მაშინვე რაღაცა გამოუტყვრება და ხელცარიელი დარჩები. ერთი და ორი ძროხა რომ გყავდეს, უბეში ჩაისვამ და ისე შეინახავ, ამდენ საქონელს კი ბევრი საკვები და ძალიან დიდი ზრუნვა უნდა.

ალბათ სწორედ იმ ზრუნვის შედეგია, რომ მანგლისელების საქონელი კარგ ჯავარზეა. აგერ, ჩვენს პირობებს კარგად შეგუებული „წაბლა“ ჯიშის დეკეულები მიწას სჩხვერავენ. მიუმარჯვე მათ ცვრიანი იალაღები, ზამთრისთვის საკმარისი საკვები დაუმზადე და ქვიშასავით მომრავლდებიან, მწყემსი მათ სისხლის გუდას აღარ დაუძახებს.

რაიონისა და მეურნეობის ხელმძღვანელობას საკვები ბაზის უტყუარ და საიმედო შექმნის საშუალებად მიწათმოწყობა მიაჩნიათ და ისინი სწორედ ამ მხრივ ირჯებიან. ალბათ სწორედაც იქცევიან, ვინ არ იცის, რომ ნათესი კულტურა მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე ბუნებრივად მოწეული თივა.

მანგლისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა სწორ გზაზე დგას. მეათე ხუთწლედის გეგმებით აღფრთოვანებული მშრომელები ძალ-ღონეს არ იშურებენ მოწინავეთა რიგებში ჩასადგომად, მათ წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად.

წლევანდელი წელი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის საიუბილეო წელია. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ეჭვი არ არის, ახალი შრომითი მიღწევებით შეეგებება მანგლისის მეურნეობის მთელი კოლექტივი.

არსენ ბადალაშვილი



გობელენი ჭიათურის კულტურის სასახლეში.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრები:
გიორგი თოთიბაძე და დიმიტრი ხახუტაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლონდონი

ოთარ თურქიას კარგად იცნობენ ფოტოხელოვნების მოყვარულნი. ამ ნიჭიერმა შემოქმედმა საერთო აღიარება მოიპოვა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ოთარ თურქიას ნამუშევრები ხშირად საზღვარგარეთის ქვეყნებშიც იბეჭდება.

რამ განაპირობა ფოტოხელოვნების ასეთი დიდი წარმატება? უპირველეს ყოვლისა, მისმა ბუნებრივმა ნიჭიერებამ, უტყუარმა ალღომ, ოსტატურმა თვალთახედვამ. ყოველივე ამას ემატება სამაგალითო შრომისმოყვარეობა, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული და პასუხისმგებლობა.

ოთარ თურქიას ნამუშევრები ჩვენი ცხოვრების ტიპიურ მოვლენებს ასახავენ. ისინი გამოირჩევიან გადასაღები ობიექტების საინტერესო კუთხის მიგნებით, თავიანთი აქტუალობითა და მრავალფეროვნებით, მხატვრულობით, ტექნიკური შესრულების მაღალი დონით.

ფოტოხელოვანი ბევრს მოგზაურობს. სხვანაირად არც შეიძლება! მისი აღმაფრენისა და შთაგონების დაუშრეტელ წყაროს ხომ საქართველოს მთა და ბარი, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სამრეწველო ცენტრები და საკოლმეურნეო მინდვრები, ჩვენი გამრჯე, კომუნიზმის მშენებელი ადამიანები წარმოადგენენ.

ოთარ თურქია მსოფლიოს მრავალ ქვეყანასაც ესტუმრა. იყო კანადაში, ფოტოაპარატით იმოგზაურა საფრანგეთში, ინგლისში, ფინეთში, ეწვია ჰამბურგს, სტოკჰოლმს, კოპენჰაგენს, ოსლოს.

სურათები, რომელსაც ახლა ვაქვეყნებთ, ფოტოხელოვანმა ლონდონში გადაიღო.




















- დიდი საათი (ბიგ-ბენი).
- პიკადილია.
- ავტობუსის მოლოდინში.
- ქუჩის მუსიკოსი.
- ქალბატონ ტიუსოს სანთლის ფიგურების მუზეუმში: ბ. შოუ, შექსპირი, ვ. სკოტი, დიკენსი.
- ტაუერსის მუზეუმში გაუჩხრეკავად არავის უშვებენ.
- საუზმე ქუჩაში.
- კენდებერიის სააბატოს მონაზონი.
- დიალოგი პოლიციელთან.
- ტაუერსის მცველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინა-
რო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ბი-
ოქიმიის ლაბორანტი ჯილდა ბაქრაძე.

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო.,

კარზე მორიდებით დააკაკუნეს.

— მობრძანდით, — ჩაილაპარაკა საქმეში გართულმა მაიორმა.

კაბინეტში მდივანი ქალი შემოვიდა, მაგიდაზე კიდეებშემოცვეთილი, ჩაყვითლებული საქაღალდე დადო და მშვიდი ხმით წარმოთქვა:

— აბქაროვების მკვლელობის საქმეა.

მილიციის უფროსის მოადგილემ მაიორმა ბორის აბრამიშვილმა ყურადღებით დახედა სქელ საქაღალდეს.

— შეიძლება წავიდე?

მაგიდაზე დაყრდნობილ ხელზე ნიკაპჩამოდებულმა მაიორმა უხმოდ დაიქნია თავი.

ბინდდებოდა. გამოღებული ფანჯრიდან კარგად მოჩანდა თალხში გახვეული ყვარლის ქუჩები. აქა-იქ ციცინათელებივით ენთებოდნენ ნათურები.

ბეჭებში წახრილი მაიორი დაძაბული ყურადღებით ჩაჰკირკიტებდა საქაღალდიდან ამოღებულ ფურცლებს. დროდადრო ჩერდებოდა, უბის წიგნაკში რაღაცას ინიშნავდა, მერე ისევ ჩაყვითლებული ფურცლების ხელმეორედ გადაკითხვას იწყებდა.

— რა მოხდა? სად დაუშვეს შეცდომა? როგორ მოახერხა მკვლელმა დამალვოდა მართლმსაჯულებას? — აი კითხვები, რომლებიც ჯარასავით ტრიალებდა მაიორის გონებაში.

აბქაროვების მკვლელობის საქმე რაღაც მძიმე ბურუსით იყო მოცული. ამ ბურუსის გარღვევას ყვარლის რაიმილიციაში სამუშაოდ ახლად ჩამოსულმა მაიორმა ბორის აბრამიშვილმა მოჰკიდა ხელი. მოჰკიდა და, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, აუცილებლად უნდა მიეყვანა ბოლომდე. სხვანაირად არ შეიძლებოდა! სიმართლე უნდა დადგენილიყო, მკვლელი, რომელიც რამდენიმე წელი თავისუფლად დანავარდობდა, მართლმსაჯულების წი-

ლებულ საქაღალდეს სეიფში კეტავდა, ხმამაღლა გაესაუბრა თავის თავს:

— უპირველეს ყოვლისა, შემთხვევის ადგილი უნდა დავათვალიეროთ!

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ საგანგებოდ შექმნილმა ოპერატიულმა ჯგუფმა გეზი დაღესტნისკენ აიღო.

მანქანაში ოთხნი ისხდნენ: მაიორი ბორის აბრამიშვილი, უბნის ინსპექტორი, სისხლის სამართლის განყოფილების მუშაკი და მძღოლი.

„გაზიკმა“ აღმოსავლეთისაკენ გაუხვია, უკან მოიტოვა ავარიელი ლეკებით დასახლებული ყვარლის რაიონის სოფლები სარუსო და საცხენე.

— აქედან ახლოსაა დაღესტანი, — წამოიწყო უბნის ინსპექტორმა ავთანდილ ლეშკაშელმა და მაშინვე დასძინა, — ამხანაგო მაიორო, აქაური გახლავართ და ნება დამრთეთ, სიტყვიერად მაინც გაგიწიოთ მეგზურობა.





# შოროხევის საიდუმლო

ეთერ ჩილაჩავა

ნამდვილი ამბავი

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ნაშე უნდა წარმსდგარიყო. ამას მოითხოვდა სიმართლე, ბოროტებასთან ბრძოლა, ჩვენი ქვეყნის კანონიერება.

მოწმეების ჩვენების გულდასმით გაცნობამ, ძიებით შეწყვეტილი საქმის თითოეული დეტალის ღრმა გაანალიზებამ, გაცრეცილი ფურცლების მიღმა მიმალულმა ამოუხსნელმა საიდუმლოებამ ბორის აბრამიშვილს ხელის ჩასაჭიდი ვერაფერი მისცა. მაგრამ გუმანი, უტყუარი ალღო უკარნახებდა, რომ მკვლელობა ფრთხილი და ეშმაკი ბოროტმოქმედის მიერ იყო ჩადენილი. არც ის იყო გამორიცხული, რომ მამა-შვილი აბქაროვების მკვლელს შემწე და თანამოზიარე ჰყავდა.

დამნაშავემ შეუძლებელია ბოროტმოქმედების ჩადენის დროს რაიმე შეცდომა არ დაუშვას. ეს შეცდომა, ერთი შეხედვით, შეიძლება ძალიან წვრილმანი და უმნიშვნელო იყოს, მაგრამ ძიებაში არ არსებობს წვრილმანი და უმნიშვნელო! ბევრჯერ სწორედ ასეთი წვრილმანისაგან და უმნიშვნელოსაგან იწყება დიდი საქმე, ფარდა ეხდება წლების მანძილზე გაუხსნელ საიდუმლოს.

აბქაროვების მკვლელობის საქმე, რომლის ამოცნობა ვერ მოხერხდა, ახლა რაიმე ხელჩასაჭიდი წვრილმანის მიგნებას მოითხოვდა. ამის გარეშე შეუძლებელი იყო მაჰმად აბქაროვისა და მისი 17 წლის ულამაზესი ქალიშვილის ფირდასას მკვლელობის საიდუმლოს ამოხსნა.

მამლებმა მეორედ იყივლეს. ბორის აბრამიშვილმა უკანასკნელ სიგარეტს წაუკიდა ასანთი. წამოდგა, და მაშინ, როცა კიდეებშემოცვეთილ, ჩაყვით-

ბორისმა თანხმობის ნიშნად გაიღიმა.

— სოფელ საცხენიდან, — ახლა უფრო რიხიანად გააგრძელა უბნის ინსპექტორმა, — იწყება აღმართი, რომელიც კავკასიონის ქედზე გადადის და პირდაპირ დაღესტანში ჩაგვიყვანა. ეს გზა რუსი მეფის ბრძანებით გაუყვანიათ. სწორედ ამ გზით უტევდნენ მეფის ჯარები შამილს, ამ გზით გაჰქონდათ საომარი იარაღი, სურსათ-სანოვაგე. ამ ფართო, მაგრამ შედარებით გრძელი გზის გარდა, სამოკლებელი ბილიკებიც არის. ამ საცალფეხო ბილიკით ხშირად სარგებლობენ დაღესტნისაკენ მიმავალი, ანდა იქიდან კახეთისაკენ მომავალი მგზავრები. შედარებით მოკლეა და იმიტომ.

მოსაუბრე წამით შეჩერდა, ჩაახველა და ისევ განაგრძო:

— ამ ბილიკის შესახებ იმიტომ მოგახსენეთ, რომ აბქაროვები სწორედ დიდი გზისა და სამოკლებელი საცალფეხო ბილიკის შესაყართან არიან მოკლულები.

მანქანა თუხთუხით შეუყვა ფერდობზე დახვეულ გზას. გზის მარჯვნივ თხილხევი გამოჩნდა, მარცხნივ კი შოროხის ხევი, რომელსაც ყვარლის რაიონში ხშირად შოროხევსაც ეძახიან.

„გაზიკში“ მსხდომნი მაიორს შეაცქერდნენ.

— აბქაროვების საფლავზე მივიდეთ! — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა ბორისმა და გადაშლილი უბის წიგნაკს ჩააცქერდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა თავდაღმართზე დაეშვა, შეივაკა და ხასხასა მოლთან შეჩერდა.

მილიციის მუშაკები მანქანიდან გადმოვიდნენ.

გზიდან ხელმარცხნივ გადაუხვიეს, ორმოციოდე ნაბიჯი გაიარეს და საფლავთან შეჩერდნენ.

ერთ მოჩრდილულ კუთხეში ქვის ორი ნიში იყო აღმართული; მათ წინა მხარეს მიცვალებულთა ვინაობა და გარდაცვლის თარიღი ამოეტვიფრათ.

„ბოროტმოქმედის ხელმა ვერაგულად გამოასალმა სიცოცხლეს მრავალშვილიანი მამა მაჰმად აბქაროვი და მისი მეთვრამეტე წელში გადამდგარი ულამაზესი ქალიშვილი ფირდასა“. — იუწყებოდა ორთავე ქვაზე ამოკვეთილი ეპიტაფია.

— წავიდეთ, ახლა მკვლელობის ადგილი დავათვალიეროთ! — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მყუდროება მაიორმა დაარღვია.

ბორის აბრამიშვილს უსიტყვოდ აედევნენ გულდამძიმებული თანამგზავრები.

„გაზიკი“ შოროხევისაკენ დაიძრა.

* * *

ის ღამე უძილოდ გაატარა ბორისმა.

მილიციის მაიორი შინ სამუშაო მაგიდასთან იჯდა. უბის წიგნაკში ჩანიშნულ შენიშვნებს, მოსაზრებებს, ათასგვარ ვარაუდებსა და ფაქტებს ერთხელ კიდევ გულდასმით აანალიზებდა.

მერე წამოდგა, ტახტზე მიწვა, თავქვეშ ამოიდო ხელები. მაიორის გონებაში ერთმანეთის მიყოლებით ნათლად გაცოცხლდა მაჰმად აბქაროვის და მისი მომხიბვლელი ქალიშვილის მთელი ტრაგედია.

მაჰმად აბქაროვი თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით დაღესტნის თარატის რაიონის სოფელ ბუზ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

თაში ცხოვრობდა. ერთ მშვენიერ დღეს, ვინ უწყის, რა მიზეზითა და მოსაზრებით, მაჰმადი ყვარელში გადმოვიდა დროებით საცხოვრებლად; თან თავისი ქალიშვილი ფირდასა წამოიყვანა. აბქაროვმა ახალსოფლის სასოფლო მაღაზიაში დაიწყო გამუდმებით მუშაობა. დინჯი და პატიოსანი კაცი იყო. თავისი გარჯითა და გულისხმიერებით მთელი სოფლის პატივისცემა დაიმსახურა.

მაჰმადი არასოდეს არ იშორებდა გვერდიდან ფირდასას. მამა-შვილი ხშირად ადიოდა დაღესტანში ოჯახის წევრების მოსანახულებლად; ფართლეული და სხვადასხვა სურსათ-სანოვაგე მიჰქონდათ თან.

ერთ დილით, ის-ის იყო დაღესტნის მთებში მზე ამოიწვერა, რომ მაჰმადის ვაჟმა აიშათმა ეზოში შემოსულ ცხენს მოჰკრა თვალი.

— დედა, მამა და ფირდასა ჩამოვიდნენ ყვარელიდან! — სიხარულით შესძახა ბიჭმა და ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა ცხენის მისაგებებლად.

მაჰმადის ცოლი და ხუთი შვილი ეზოში გამოეფინენ. ახლობლების მოლოდინში გარშემო შემოეხვივნენ ცხენს. ცხენი დაღლილი ჩანდა, გაოფლილიყო. ეტყობოდა, დიდი გზა გამოევლო ჭენებით. ოჯახის დიასახლისს რაღაც ცუდი უაზრა გულმა. რატომ უნდა მოსულიყო გაოფლილი ცხენი მარტო? სად არიან მაჰმადი და ფირდასა?

დრო გულისგამაწვრილებლად ილეოდა მოლოდინში.

საქმეში საგამომძიებლო ორგანოები ჩაერიენ. ახალსოფლელმა პედაგოგმა ალექსანდრე შიუკაშვილმა, რომლის მდგმურები იყვნენ მამა-შვილი აბქაროვები, საგულისხმო ცნობები მიაწოდა მილიციის მუშაკებს.

გაირკვა, რომ მაჰმადმა დაღესტანში გამგზავრების წინა დღეს თბილისიდან შვილებისათვის მოსწავლის სკოლის ფორმები, ფეხსაცმელები, თბილი საცვლები, ტკბილეული და 26 ლიტრი არაყი ამოიტანა ოჯახში წასაღებად.

ნაყიდი ნივთები და სურსათ-სანოვაგე მაჰმადმა ხურჯინში ჩაალაგა, თავისი განუყრელი თუნგიც შიგ ჩადო, ცხენს გადაჰკიდა და სამგზავროდ გაემზადა.

— მაჰმადი და ფირდასა დამემშვიდობნენ, — ყვებოდა ალექსანდრე შიუკაშვილი, — ორ დღეში ჩამოვალთო, დამიბარეს, ერთხელ კიდევ გადამკოცნეს და გზას დაადგნენ. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი ვიცი.

გულმოდგინე ძებნა და ძიება უნაყოფო გამოდგა. უგზოუკვლოდ დაკარგულ აბქაროვებს ვერსად მიაკვლიეს.

ერთხელ, ახალსოფლელი მწყემსი ალეკო ჯოხაძე ცხვარს მოერეკებოდა შოროხევის ხეობაზე.

ძაღლებმა რაღაც სუნი აიღეს. კარგა მანძილი რომ გაიარეს, შეჩერდნენ, ჯერ საზარლად აღმუვლდნენ, მერე თათებით მიწას დაუწყეს თხრა. ერთი ნაგაზი მწყემსისაკენ გამოქანდა, ჯუბის კალთებზე ჩაafრინდა და გვერდით დაუწყო გაწევა.

მწყემსი მიხვდა, რომ ძაღლები რაღაცას წააწყდნენ. ტყეში ფეხდაფეხ აედევნა მათ და რამდენიმე წუთის შემდეგ თავზარდაცემული გაქვავდა ადგილზე.

ხეების ქვეშ ჩადუნისა და გვიმრის ფოთლებით დაფარული გახრწნილი გვამები ეყარა.

მოკლული მამაკაცი პირქვე ეგდო; ხალათი წამოხდოდა და სახეზე გადაფარებოდა, შარვალი და საცვალი ხევში თრევისაგან კოჭებამდე ჰქონდა ჩაცურებული. მოკლულ მამაკაცზე დასისხლიანებული ახალგაზრდა ქალი მიეგდოთ. მას წითელი კუბოკრული კაბა ეცვა, წელზე ლეკური ქამარი ერტყა. იქვე ეგდო მისი ახალთახალი ქოლგა.

ამ გვამებში ახლობლებმა მალევე ამოიცნეს მაჰმად და ფირდასა აბქაროვები.

საექსპერტიზო ანალიზით დადგინდა, რომ მკვლელობა ორი კვირის წინათ უნდა ყოფილიყო მომხდარი. ასევე დადგინდა, ქალიშვილი ძალის გამოყენებით იყო გაუპატიურებული.

ძიება კარგა ხანს გრძელდებოდა. დაჰკითხეს მოწმეები, ეჭვმიტანილები გულდასმით შეამოწმეს და შეისწავლეს, ათასგვარი ვერსია გაანალიზეს, მაგრამ დამნაშავის კვალს ვერ მიაგნეს.

ხანდაზმულობისა და ვინმეს მიმართ მტკიცების უქონლობის საფუძველზე აბქაროვების მკვლელობის საქმე ძიებით შეწყდა. საქაღალდეში ჩადებული საბუთები თაროზე შემოსდეს და თანდათან დაიფარა მტვრით.

მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა.

შოროხევის ტრაგედია ამოუცნობ საიდუმლოდ რჩებოდა მამა-შვილის მკვლელი კი თავისუფლად დანავარდობდა ნათელ და მზით გაცისკროვნებულ ქვეყანაზე.

* * *

მაიორი ბორის აბრამიშვილი ახლად ჩასული იყო ყვარელში, როცა რაიონის მილიციის უფროსად პოდპოლკოვნიკი ელგუჯა ჯანყარაშვილი დანიშნეს.

საქმის მცოდნე და გამობრძმედილმა ჩეკისტმა მაშინვე დაუჭირა მხარი მაიორის წამოწყებას.

— ყველაფერი უნდა ვიღონოთ დამნაშავის აღმოსაჩენად, — დინჯად ჩაილაპარაკა პოდპოლკოვნიკმა, აბქაროვების მკვლელობის საქმე № 2697 ხელში შეატრიალა და ჩვეული სიდინჯით იკითხა:

— რა შეგიძლიათ მითხრათ?

— უპირველეს ყოვლისა, დაზუსტებას მოითხოვს ის გარემოება, თუ რატომ წამოიყვანა თან დაღესტნიდან ყვარელში საცხოვრებლად გადმოსულმა მაჰმად აბქაროვმა თავისი ქალიშვილი ფირდასა.

— რა თქმა უნდა, — მაშინვე დაეთანხმა პოდპოლკოვნიკი, — საქმიდან ჩანს, რომ მამა ყოველთვის რაღაც შიშით ეფაფრებოდა შვილს. შესაძლებელია, იგი ვიღაც ბნელ პიროვნებას არიდებდა თავის ქალიშვილს.

— ეს ვიღაცა უკვე დავადგინე, იგი აღმოჩნდა მრავალცოლგამონაცვალი, ბილწი და ბნელი პიროვნება, რომელსაც დაღესტანში ლორ-სეითს ეძახდნენ.

— ეძახდნენ?

— დიახ, ეძახდნენ. ლორ-სეითი აბქაროვების მკვლელობამდე ორი თვით ადრე ავტოავარიაში მოჰყვა და გარდაიცვალა.

ბორის აბრამიშვილმა სიგარეტს მოუკიდა და განაგრძო:

— ლორი-სეითი თურმე მოსვენებას არ აძლევდა მაჰმად აბქაროვს, გინდა თუ არა, შენი თხუთმეტი წლის ულამაზესი ფირდასა მომათხოვეო. ლორ-სეითის შურისძიების ვერსია გამორიცხულია. ქალიშვილის მითხოვებაზე უარის თქმისათვის გარდაცვლილ ლორ-სეითს არ შეეძლო მკვლელობა ჩაედინა.

— თქვენ გინდათ თქვათ, ხომ არ არსებობს მეორე, ლორ-სეითის მსგავსი პიროვნება, რომელსაც მამა-შვილი გამოერიდნენ და რომელმაც შურისძიების მიზნით მოჰკლა ისინი?

— დიახ.

— თქვენს მოსაზრებას ისიც ასაბუთებს, რომ მკვლელი კარგად იცნობს დაღესტნის მოსაზღვრე ადგილებს. იგი ადგილობრივი პირი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავე ვერ მოახერხებდა გზიდან გვამების მოფარებას, მოკლე გზით ხევის გადალახვას და მიყრუებულ ტყეში მათ დამალვას.

ახლა პოდპოლკოვნიკმა გააბოლა სიგარეტი და მშვიდად განაგრძო:

— გზიდან ტყეში ორი გვამის გადათრევა და სხვა მთელი რიგი არსებითი წვრილმანები, იმის დამადასტურებელია, რომ დამნაშავე მარტოდმარტო ვერ შესძლებდა ყველაფრის გაკეთებას. ბოროტმოქმედი ერთზე მეტი უნდა იყოს!

ჯანყარაშვილი წამოდგა, ჩაფიქრებულმა რამდენჯერმე უსიტყვოდ გაიარა ოთახში და მაიორის წინ შეჩერდა.

— ახლა ეს ვერსია გავარჩიოთ: იქნებ გაძარცვის მიზნით მოხდა მკვლელობა? იქნებ ვინმეს სხვა რაიმე შურისძიება აამოძრავებდა მაჰმადის მიმართ?

პოდპოლკოვნიკის შეკითხვებს პირდაპირ და ამომწურავ პასუხებს მოითხოვდა.

— სხვა რაიმე შურისძიება თითქმის გამორიცხულია. მაჰმადი წყნარი, უწყინარი და კეთილი იყო. ყველა მოწმე კატეგორიულად უარყოფს ასეთი მოტივის არსებობას. რაც შეეხება გაძარცვის ვარიანტს, ისიც თითქმის ირიცხება.

ბორის აბრამიშვილმა უბის წიგნაკი გადაშალა, სწრაფად გაავლო თვალი და განაგრძო:

— მკვლელობა რომ მარტო გაძარცვის მიზნით იყოს მომხდარი, მაშინ დამნაშავეები პირწმინდად გაძარცვავდნენ მოკლულებს. უბის წიგნაკში ჩანიშნული მაქვს, რაც ბოროტმოქმედებმა წაიღეს. აი, ნახეთ, ფირდასას სამაჯურები, ბეჭედი... მაჰმადის თუნგი... დამნაშავეებმა არაყიც წაიღეს... ახალი ქოლგისთვის, სხვადასხვა სურსათისა და ნივთებისათვის კი ხელიც არ უხლიათ.

გვიანობამდე ისხდნენ ჩაკეტილ კაბინეტში მილიციის უფროსი და მისი მოადგილე. არჩევდნენ, სწონიდნენ, დეტალურად აანალიზებდნენ ყოველ ვარიანტსა და წვრილმანს.

ლოგიკას, საქმეში არსებულ მასალებს ისინი იმ დასკვნამდე მიჰყავდა, რომ მკვლელობა ფირდასას მიმართ ვიღაცის გატაცებისა და შურისძიების მიზნით უნდა ყოფილიყო ჩადენილი. ქალიშვილის ახალგაზრდობა და მისი სილამაზე უნდა გამხდარიყო შოროხევის საიდუმლოს საწყისი.



საჭირო იყო ყველაფრის თავიდან აღდგენა. ყველაფერი ხელახალ კვლევასა და ძიებას მოითხოვდა. სხვა გზა არ იყო, ძველი ამბის გაცოცხლება ისევ მოწმეების დაკითხვითა და ახალი ხელჩასაჭიდი მასალების ძიებით უნდა დაეწყოთ.

* * *

დღე დღეს ენაცვლებოდა. მძიმე და მომქანცველი იყო ის შრომა, რომელსაც მილიციის მუშაკები ეწეოდნენ. მიაგნებდნენ ჩახლართული ძაფის რგოლს, მოუნახავდნენ წვერს, აბურდული რგოლის გასახსნელად ფრთხილად დაიწყებდნენ ნაპოვნი წვერის ამოწევას და ძაფი წყდებოდა. არ მართლდებოდა არც ერთი ვარაუდი, ყველა ეჭვი უსაფუძვლო და მცდარი ხდებოდა.

ისევ ახალი აბურდული რგოლისა და მისი წვერის პოვნა ხდებოდა საჭირო.

ერთ დღეს მილიციის პოდპოლკოვნიკმა ელგუჯა ჯანყარაშვილმა და მაიორმა ბორის აბრამიშვილმა აბურდული რგოლის კიდევ ერთ ახალ წვერს მიაგნეს.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

# ლექსები

## კალე გოგოხიძე

### გაზაფხულის ჟამს

გაზაფხულისას
ნუშის ხე ნაზი,
ნორჩი და თეთრად
გადაპენტილი, —
მხიბლავდა ეშხით
და სილამაზით —
ტყის დედოფალი,
სათნო, კეთილი...
მას შემდეგ დღეთა
წავიდა წყება.
და ვერ ვიხილე
ნორჩი ხე ნუშის,
მაგრამ ის სითბო,
თავდავიწყება —
დიდხანს ცოცხლობდა
მგზნებარე გულში..
შემდეგ დაზამთრდა,
შემთხვევით ვნახე, —
ნეტავ, სრულებით
აღარ მენახა, —
ჩამოჭკნობოდა
საბრალოს სახე,
ფოთოლთ მშვენება
ვერ შეენახა.
ქარს შეელახა,
დაეზრო ყინვას,
იდგა მარტოკა
ხე გაძარცული;
როცა ვიხილე, —
ძალზე მეწყინა
და გამახსენდა
მისი წარსული..
მტანჯავდა ფიქრი
სინანულისა
და უმალ ნაძვმა
მოხიბლა თვალი,
მით ძველი გრძნობა
სიყვარულისა
არ ვიცი, რატომ
შეიქმნა მკრთალი?!
და ვწუხდი —
მას რომ გული რიყავდა,
ვინც ერთ დროს
გრძნობა გადამიშალა;
როცა ჰყვაოდა,
წრფელად მიყვარდა,
მაშ, დღეს რად დავთმე,
რა დამიშავა?!

## შაქრო სამადაშვილი

### სიმონ ჩიქოვანის გახსენება

მას მაშინვე,
ჰო, მაშინვე,
ეტყობოდა დრო და ხანი.
დაინახეს, აჩურჩულდნენ:
ჩიქოვანი!
ჩიქოვანი!
მწვანე კონცხი...
სილაღეში სული დატკბა, დაითაფლა.
კალმის ერთი მოსმით შექმნა
მშვენიერი ლექსი „აფრა".
გაამხილა:
ყვავილებო,
მთაო,
ზღვაო,
ტყეო, მზეო,
სითეთრეო,
სილურჯეო,
სიწითლეო,
სიყვითლეო,
უფრო მეტად სიმწვანეო,
ჩინურ ვარდის კოხტა ხეო,
შემკობილო მწვანე კონცხო,
ერთი სიტყვით. სამოთხეო, —
სიყვარულით ვითარც ახლა —
კიდევ მოვალ.
კიდევ გნახავთ!

* * *

თითქოს სიკვდილს სჭირდა ყინი —
ჯერ ჩაგიქრო თვალისჩინი,
მერე...
მერე წვა და ჯვარცმა,
მოეჭიდა სევდა გულებს,
ვაჰ, რა მოხდა,
სიტყვის კაცმა
სიტყვა ველარ შეასრულე!
და გაფრინდა ცისკენ მტრედი, —
შენი სულის თეთრი მტრედი,
განა მარტო მწვანე კონცხზე? —
ველარსადაც ვერ მიხვედი.
მუხთალია,
მუხთალია,
მუხთალია,
ზოგჯერ
ბედი!

### ბაკურციხე

ტკბილი ხარ, ტკბილი, აპრილის
მზეო,
მიწავ, გემთხვიო, — დროდრო
მინდება.
კავკასიონი... იქ, მთათა ზემოთ —
რა სითეთრეა, რა სიწმინდეა!
ო, იმ სიწმინდის იყოს სადარი —
გრძნობა, რომელიც ჩვენ
გვაკავშირებს.

# მოსკოვი 80

როცა კანადის ქალაქ მონრეალში XXI ოლიმპიური თამაშები დამთავრდა, ხალხით გაჭედილი უზარმაზარი სტადიონის ტაბლოზე ელექტრონათურებით დაიწერა — მოსკოვი-80.

ეს იმას ნიშნავდა, რომ XXI ოლიმპიური თამაშების დედაქალაქმა მონრეალმა XXII ოლიმპიადის ესტაფეტა მოსკოვს გადასცა.

როგორც ცნობილია, 1974 წლის ოქტომბერში საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ XXII ოლიმპიური თამაშები მოსკოვში ჩატარდეს.

მოსკოვის არჩევა 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში ჩვენი ქვეყნის დიდი დამსახურების საერთაშორისო აღიარებაა. იგი კანონზომიერი გამოხატულებაა იმ პატივისცემისა და მაღალი ავტორიტეტის, რომელიც საბჭოთა კავშირმა მოიპოვა მთელს მსოფლიოში.

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში საბჭოთა კავშირი პირველი სოციალისტური ქვეყანაა, რომელსაც წილად ხვდა მასპინძლობა გაუწიოს თანამედროვეობის ყველაზე მრავალფეროვან სპორტულ შეჯიბრებას — მსოფლიო ოლიმპიადას.

როგორ ეგებება ჩვენი ქვეყანა XXII ოლიმპიურ თამაშებს?

საბჭოთა კავშირში ამჟამად 50 მილიონზე მეტი ადამიანი მისდევს სპორტს. ფიზკულტურისა და სპორტის არნახულ განვითარებაზე, მის მასობრიობაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში 80 მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

ჩვენს ქვეყანაში სპორტსმენთა განკარგულებაშია 3 ათასი კეთილმოწყობილი სტადიონი, 60 ათასამდე სპორტული ბაზა, 1200 საუკეთესო საცურაო აუზი, 400 ათასი სხვადასხვა სპორტული მოედანი.

სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისათვის საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და სოფლებში გეგმაზომიერად არის გათვალისწინებული ახალი სტადიონებისა და სპორტულ დარბაზების, საცურაო აუზების, სპორტული მოედნების, ველოტრეკებისა და სხვა კეთილმოწყობილი ნაგებობების მშენებლობა.

აი, სწორედ ასეთმა შეუნელებელმა ზრუნვამ, სპორტის არნახულმა მასობრიობამ კიდევ უფრო გაჩადიდა მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული საბჭოთა ტანმოვარჯიშეების, მოჭიდავეების, მოჭადრაკეების, მოკრივეების, მოფარიკავეთა თუ მოცურავეთა სახელები.

საბჭოთა კავშირს ამჟამად მსოფლიოს 87 ქვეყანასთან აქვს დამყარებული სპორტული კონტაქტები. ჩვენს ქვეყანაში სპორტის მრავალ სახეობაში სისტემატურად ეწყობა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, საერთაშორისო შეხვედრები, ტურნირები. ეს სპორტული შერკინებები ხალხთა დაახლოებას, მეგობრობის გაღრმავებას, მშვიდობის დაცვის შემდგომი განმტკიცების მიზნებს ემსახურება.

XXII ოლიმპიადის გახსნამდე ჯერ კიდევ რამდენიმე წელია დარჩენილი.

დიდია ის შეუნელებელი ინტერესი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები და მსოფლიო საზოგადოებრიობა იჩენენ ამ სპორტული ღონისძიებების მიმართ.

ვიდრე მკითხველებს მოვუთხრობთ თუ რა კეთდება, როგორ ემზადება ჩვენი ქვეყანა XXII ოლიმპიადისათვის, ალბათ ინტერესს მოკლებული არ იქნება, მონრეალის ოლიმპიადიდან რამდენიმე საგულისხმო მაგალითი გავიხსენოთ.

მონრეალში ოლიმპიური თამაშების ჩატარება, რომელიც 16 დღე გაგრძელდა, 1,8 მილიარდი კანადური დოლარი დაჯდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო ოლიმპიური სტადიონის კომპლექსის აშენებაზე 700 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

ასეთმა დიდმა თანხამ ოლიმპიადის ორგანიზატორები გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. მათ გადაწყვიტეს, ოლიმპიური სოფლის ნაგებობები და ვაჭრობით გაჰყიდონ და ამით ნაწილობრივ მაინც განიმტკიცონ შერყეული ეკონომიური მდგომარეობა.

მონრეალში ჩასული სტუმრები საკუთარი თვალით ხედავდნენ დიდებული ოლიმპიური ნაგებობების, ცათამბჯენების, ფეშენებელური სასტუმროების მიღმა როგორ იმალებოდა ჩაბინძურებული ღარიბული კვარტალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის 400 ათასი ბინიდან 70 ათასზე მეტი ბინა ნორმალური ცხოვრებისათვის გამოუსადეგია. მონრეალში უკანასკნელ ხანებში ძალზე შემცირდა მწვანე ნარგავები, ქალაქს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია გარემოს დაბინძურების მხრივაც.

ოლიმპიადის ყოფილ დედაქალაქს კანადაში კიდევ ერთი რეკორდი ეკუთვნის: აქ ყოველ 100 ათას სულ მოსახლეზე წელიწადში დანაშაულებრივი მიზნით თავდასხმის 148 მძიმე შემთხვევა მოდის.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, სადაც ჩატარდება XXII ოლიმპიადა, ამჟამად 7 მილიონ 500 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

მოსკოველები 2 მილიონ 122 ათას კეთილმოწყობილ ბინაში ცხოვრობენ. მარტო უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სამმა მილიონმა კაცმა იზეიმა ახალმოსახლეობა.

გენერალური გეგმის მიხედვით, მოსკოვში 1980 წლისათვის აშენდება 50 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამავე გეგმით მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის თითოეულ მოსკოველზე საშუალოდ 25 კვადრატული მეტრი გამწვანებული ფართობი მოვა.

მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში მოქმედებს 78 უმაღლესი სასწავლებელი, 138 საშუალო სპეციალური სასწავლებელი, 1 224 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

მოსკოველებს და ჩამოსულ სტუმრებს ემსახურება 25 თეატრი, 119 კინოთეატრი, 4 ათასზე მეტი ბიბლიოთეკა, 61 მუზეუმი, 300-ზე მეტი კლუბი და კულტურის სასახლე.

როგორია სპორტული მოსკოვი?

საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ამჟამად არის 69 სტადიონი. 230 ტანვარჯიშის დარბაზი, 22 საცურაო აუზი, 111 საფეხბურთო მოედანი, 6 სპორტის სასახლე.

მოსკოვს შეუძლია ორგანიზებულად ჩატაროს სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება, რომლებშიც ერთდროულად 15 ათასი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

ასეთი დიდი და საამაყო შესაძლებლობანი მსოფლიოში ბევრ ქალაქს როდი აქვს!

მოსკოვი მსოფლიოში მეჩვიდმეტე ქალაქია, სადაც ოლიმპიადა ტარდება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქი გაცხოველებით ემზადება XXII ოლიმპიადისათვის. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სხვადასხვა თანამედროვე სპორტული ნაგებობების მშენებლობა, წესრიგში მოჰყავთ არსებული ბაზები, ისახება და მტკიცდება ახალი სამოქმედო გეგმები.

ეგრეთ წოდებული ოლიმპიური სოფლის ასაგებად მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში 100 ჰექტარამდე ფართობია გამოყოფილი. აქ სულ მალე წამოიმართება ორიგინალური ფორმის მაღალნაგებობათა კომპლექსი, ხეივნები, სპორტული მოედნები. კეთილმოწყობილ ოლიმპიურ სოფელში 10 ათასი ადამიანი იცხოვრებს.

მშვიდობის პროსპექტზე მალე აშენდება ახლი გადახურული სტადიონი.

1980 წლისათვის დადგენილი გეგმით, მოსკოვში შეიქმნება ხუთი სპორტული ზონა. ამ ზონებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სპორტული ნაგებობების აშენება. მოეწყობა ველოტრეკი, საცურაო აუზი, სასროლი მოედანი, სპორტსმენთა სავარჯიშო მინდვრები...

მსოფლიო სპორტული დღესასწაულისათვის მოსკოვში აშენდება 10.000 ადგილიანი სასტუმრო, კეთილმოეწყობა სატრანსპორტო მაგისტრალები.

ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ ყველა ახალი სპორტული ნაგებობა მშრომელთა განკარგულებაში გადავა და ხელს შეუწყობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას. .

ოლიმპიადისათვის მზადების პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საქალაქო ტრანსპორტის შემდგომ განვითარებას. მოსკოვში შემჭიდროვებულ ვადებში დამთავრდება რამდენიმე მიწისქვეშა მაგისტრალის რეკონსტრუქცია. შეიქმნება ახალი სატრანსპორტო მარშრუტები, აიგება გვირაბები, ხიდები.

ამჟამად მოსკოვში მოქმედებს მეტროს შვიდი ხაზი, რომელთა საერთო სიგრძე 160 კილომეტრია. ტრანსპორტის ამ სახეობას ყოველდღიურად მილიონობით მგზავრი გადაჰყავს.

მგზავრებს ემსახურება 2 200-ზე მეტი ტროლეიბუსი, 1 400-ზე მეტი ტრამვაის ვაგონი, 15.142 ტაქსი.

1980 წლისათვის მოსკოვში გაიყვანენ მეტროპოლიტენის ახალ ხაზებს. იმოძრავებენ უფრო მეტი და უფრო კომფორტაბელური ავტობუსები, ტროლეიბუსები, ტაქსები.

ოლიმპიადაზე საკუთარი მანქანებით ჩამოსული სტუმრებისათვის აიგება კემპინგები მანქანების სადგომებით. მოეწყობა ტექნიკური მომსახურების პუნქტები...

საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქი მოსკოვი ყოველმხრივ სრულ მზადყოფნაში შეეგებება მსოფლიო სპორტულ დღესასწაულს — XXII ოლიმპიურ თამაშებს!

ოთარ ქავთარაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარდასულ დღეთა გახსენება

აჭარა-გურიის მთების მიღმა, ულამაზეს ხეობაში შეფენილა სოფელი ლიხაური. ამ სოფელში 1883 წელს დაიბადა დიომიდე გობრონიძე, რომელმაც საქვეყნოდ ისახელა თავი რუსეთ-იაპონიის ომში.

1904 წლის ოქტომბერი იდგა. ლიაოიანის მახლობლად იაპონიის არმიამ სისხლისმღვრელი ბრძოლა გაუმართა რუსეთის ჯარს, რომელმაც უკან დაიხია, მდინარე შახერზე გადებული ხიდი გადაიარა და მეორე ნაპირზე გადავიდა. მტრის მოწინავე ნაწილებმა ხიდზე გადასვლა დაიწყეს. იაპონიის არმია სწრაფად იყრიდა თავს ხიდთან, ცოტა კიდევ და ისინი კვლავ შეტევაზე გადავიდოდნენ მეტად კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. ამ ძნელბედობის ჟამს გენერალმა კუროპატკინმა საველე · თათბირი გამართა.

— რუსეთის ჯარის ხსნა ამ განსაცდელიდან მხოლოდ ხიდის აფეთქებით შეიძლება, — განაცხადა გენერალმა, — ვინ იკისრებს ამ ძნელი, მაგრამ საპატიო დავალების შესრულებას?

მეომართა შორის დუმილმა დაისადგურა.

— მე შევძლებ! — წამოიძახა ვიღაცამ ჯარისკაცთა რიგებიდან. გენერალ კუროპატკინის წინაშე დიომიდე გობრონიძე წარსდგა.

მხედარი საჭირო ასაფეთქებელი ნივთიერებით აღჭურვეს და იგი მალევე გაუჩინარდა.

რამდენიმე საათის შემდეგ გარინდებული გარემო აფეთქების ძლიერმა გრგვინვამ გააყრუა. სასწაულებრივად გადარჩენილი გობრონიძე სირბილით ეახლა გენერალს და წელში ლაღად გაჭიმულმა დავალების წარმატებით შესრულება მოახსენა.

რუსეთის არმია ხიდის აქეთა მხარეს გადმოსულ იაპონელებს დაერია. გაავლეს მუსრი, ზოგი ამოჟლიტეს, ზოგი დაატყვევეს, ბევრმა იაპონელმა წყალში გადახტომით უშველა თავს.

ჩადენილი გმირობისათვის, რუსეთის არმიის განსაცდელიდან ხსნისათვის დიომიდე გობრონიძე რუსეთის იმპერატორმა დედაქალაქში მიიხმო, დავალების პირნათლად შესრულება მიულოცა და ოქროს ჯვრით დააჯილდოვა.

რუსეთ-იაპონიის ომში გობრონიძემ კიდევ რამდენჯერმე ისახელა თავი. მან მტერთან ბრძოლაში სამაგალითო გამბედაობა, მოხერხებულობა, ვაჟკაცობა გამოიჩინა და „წმინდა გიორგის ჯვრის" ოთხივე ორდენის სრული კავალერი გახდა. მან სხვა უმაღლესი ჯილდოები და მედლებიც დაიმსახურა.

ომის დამთავრების შემდეგ დიომიდე გობრონიძე მშობლიურ სოფელ ლიხაურს დაბრუნდა. მალე იგი ბათუმში გადავიდა საცხოვრებლად. გობრონიძე ერთგულად იცავდა მშრომელთა ინტერესებს, ყოველმხრივ თანაუგრძნობდა რევოლუციურ მოძრაობას.

ერთხელ, ეს იყო 1916 წლის ადრეულ გაზაფხულზე, დიომიდე მატარებლით ჩავიდა ბათუმში. სადგურის ბაქანზე მან თვალი მოჰკრა ბათუმის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს, რომელიც მეუღლითურთ გამოსულიყო სასეირნოდ.

ვაგონიდან გადმოსულმა ვიღაც ყაბალახწაკრულმა მოხუცმა, რომელიც გატენილ ხურჯინს ძლივს მიათრევდა, უნებლიედ მხარი გაჰკრა ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მეუღლეს. შეურაცხყოფილმა ქალმა გაბრაზებით შეჰკივლა. ცოლის კივილმა ამპარტავანი ქმარი განარისხა, მოხუც გლეხს ყბაში მუშტი ჩასცხო და მტვრიან ქვაფენილზე გააგორა.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა, ვიდრე ხალხი გონს მოეგებოდა, დიომიდე გობრონიძე ჟანდარმთა სამმართველოს უფროსთან მიიჭრა, სილა შემოჰკრა და ისიც ძირს დასცა.

ჟანდარმები დამნაშავეს ეცნენ. ძიძგილაობაში დიომიდე გობრონიძეს პალტოს ღილები შემოაწყდა და მკერდზე მოელვარე ჯვრები გამოუჩნდა.

ჟანდარმებმა უკან დაიხიეს, მერე ხელის აღებით პატივი სცეს გმირს.

გობრონიძემ მალე აქტიური მონაწილეობა მიიღო ბათუმის ოლქიდან თურქი ოკუპანტების განდევნაში.

1922 წელს დიომიდე გობრონიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. მახარაძის რაიონში მის კარ-მიდამოში ახლა მისი ძმა თედორე ცხოვრობს. გობრონიძის ორი შვილი კი ბათუმში სახლობენ და საზოგადოებრივ შრომას ეწევიან.

შოთა ზაქარიაძე

# გალაკტიონი თამაშობს ჭადრაკს



1958 წლის მარტში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტმა და ქალაქის ლიტერატურულმა გაერთიანებამ შეხვედრა მოუწყო გალაკტიონ ტაბიძეს.

მეტალურგთა კულტურის სასახლეს მთელი რუსთავი მოაწყდა. დარბაზში ტევა არ იყო. ფოიეც ხალხით გაიჭედა. პოეზიის მოყვარულთა თხოვნით პარტერის ყველა კარი გააღეს და გარეთ დარჩენილნი ასე უსმენდნენ დიდ პოეტს. გალაკტიონმა სამი ლექსი წაიკითხა: „ახალგაზრდობას", „ეგ არის და გორის ციხე" და „ყველაფერი შეიძლება მოხდეს".

ლიტერატურული სალამოს დამთავრების შემდეგ მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა გიორგი თხელიძემ გალაკტიონს სთხოვა ჭადრაკი ეთამაშა, პოეტი დათანხმდა.

გალაკტიონი ჭადრაკს თამაშობსო და ხალხი ახლა კულისებს მოაწყდა პატარა ოთახი ხალხით გაიჭედა, მაგრამ ისეთი სიჩუმე იდგა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. გალაკტიონი სიამოვნებით თამაშობდა, ხუმრობდა, ზოგჯერ ღრმად ჩაფიქრდებოდა ან თავისთვის ბუტბუტებდა. პოეტმა მხედარს მოკიდა ხელი. ყველა მიხვდა, ეს სუსტი სვლა რომ იყო, ოთახში ჩურჩულმა დაირბინა: „ეგ არა, დაფიქრდით". გალაკტიონმა ფიგურა უჯრაზე დააბრუნა. ჩაფიქრდა, შემდეგ თავი მაღლა ასწია და თქვა:

— არა, ჭადრაკში ასეთი წესია — სვლის დაბრუნება არ შეიძლება!

პოეტმა პარტია წააგო.

მეორე პარტია შეკრებილთა და თვით მეტოქის სასიხარულოდ, გალაკტიონმა მოიგო. მიკრომატჩი ფრედ — 1:1 დამთავრდა.

— მე თვითონ არ გახლავართ ძლიერი მოჭადრაკე, მაგრამ, ვფიქრობ, გალაკტიონი ჭადრაკს სუსტად თამაშობდა, — იგონებს გ. თხელიძე, — ძლიერ მინდოდა გალაკტიონს მოეგო, თუმცა სუსტი სვლის გაკეთებას ვერ ვბედავდი. ვიცოდი, პოეტს ეწყინებოდა. ჭადრაკის კომპლექტი, რომლითაც სიტყვის ჯადოქარს ვეთამაშე, დღესაც ჩემთან ინახება, როგორც ძვირფასი რელიკვია.

ეს გალაკტიონის უკანასკნელი შეხვედრა იყო რუსთაველებთან.

გივი ძინძიბაძე

სურათზე: გალაკტიონ ტაბიძე ჭადრაკს ეთამაშება გ. თხელიძეს.

დ. ცხოვრებაძის ფოტო.

# ლევან თედიაშვილი



— ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ ერთი მოჭიდავე ნამდვილად არ გვაეჭვებდა. შეჯიბრების დაწყებამდე შეიძლებოდა... მისი ოქროს მედლით დაჯილდოება. ეს გახლდათ შესანიშნავი ქართველი მოჭიდავე ლევან თედიაშვილი, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ივანე იარიგინმა, — დღეს არ მეგულება ლევან თედიაშვილზე უფრო ვირტოუზული მოჭიდავე. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ლევანი ყოველი ვარჯიშის დროს ახალ-ახალ კომბინაციებს იგონებს. იგი მუდამ ეძებს გამარჯვების მიღწევის ახალ გზებს და ჭიდაობას თავისი — „თედიაშვილისეული" ხელწერით ამდიდრებს. ლევანს შეუძლია, რომ იტყვიან, „შეკვეთითაც" იჭიდაოს, თუ საჭიროა, წმინდად, ქულებით მოიგებს. გუნდის ინტერესებისათვის ზემო წონით კატეგორიაშიც იასპარეზებს. თედიაშვილი უარს არც სხვა სტილით ჭიდაობაზე ამბობს!

მართლაც, თეირანის მსოფლიო ჩემპიონატში მან, როგორც ვიცით, სამბოს ჩოხაშიც მოსინჯა თავი და ოქროს მედლით დაგვიბრუნდა.

ეს იყო განუმეორებელი შემთხვევა, ჩვენში ჭიდაობის გულშემატკივრებს ვერაფრით გააკვირვებთ. მათ დღესაც ახსოვთ გივი კარტოზიას მიერ კარლსრუეს მსოფლიო ჩემპიონატზე ერთ საღამოს სულ რაღაც ორ საათნახევრის განმავლობაში ბრწყინვალედ მოგებული ხუთი ორთაბრძოლა; მელბურნის ოლიმპიურ ასპარეზობაზე რომან ძნელაძის გამოსვლა — ძნელაძისა, რომელმაც არ ისურვა ლაჩრული გზით მოეპოვებინა ვერცხლის მედალი და თავი შეგნებულად გაიყვანა... მესამე ადგილზე. მაშინ უცხოელმა ჟურნალისტებმა ამ შემთხვევას ოლიმპიადის „ნომერი პირველი სენსაცია" უწოდეს...

დიახ, ბევრი რამ ახსოვთ ჭიდაობის მოყვარულთ, მაგრამ ლევან თედიაშვილის სპორტულმა გმირობამ თეირანში ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა.

...ირანის დედაქალაქის „ფარაჰის" სარბიელზე უკვე დაამთავრეს ორთაბრძოლა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა. ისინი გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე ისხდნენ და მხიარულად საუბრობდნენ განვლილი ბრძოლების პერიპეტიებზე. მეორე დღეს სტარტს იღებდა სამბისტთა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი.

უცებ საბანკეტო დარბაზში სსრ კავშირის სამბისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ს. იონოვი შეშფოთებული შემოვიდა. იგი ლევან თედიაშვილის მწვრთნელთან, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან ვახტანგ ბალავაძესთან მივიდა და აღელვებით დაუწყო საუბარი.

— არა უშავს, ლევანი ამასაც შეძლებს! — უპასუხა მშვიდად ბალავაძემ.

საქმე კი შემდეგში იყო: მეორე საშუალო წონით კატეგორიაში (90 კგ) საბჭოთა სამბისტი გენადი რუხლიადევი ავად გახდა. გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. თუ იგი ხალიჩაზე ვერ გამოვიდოდა, ამ წონაში გუნდს ნული ეწერებოდა. და აი, ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, თედიაშვილისათვის მიემართა.

— რას იტყვი, ლევან, ხვალ სამბისტთა ტურნირშიც რომ ჩაება? — შეეკითხა ბალავაძე თავის მოწაფეს.

„სერიოზულად მეკითხებიან თუ მეხუმრებიან?" — გაიფიქრა ლევანმა, და როცა დარწმუნდა, რომ არ ეხუმრებოდნენ, მისთვის საჭოჭმანო აღარაფერი იყო.

— თანახმა ვარ. — მტკიცედ თქვა ლევანმა.

...„ფარაჰის" სარბიელი ტაშის გრიალით შეეგება ლევან თედიაშვილის გამოჩენას სამბისტის ჩოხაში.

ლევანმა ყველაფერი თავიდან დაიწყო — ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე... თედიაშვილმა ზედიზედ ოთხი ორთაბრძოლა მოიგო და რამდენიმე დღეში ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

დარბაზში სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი ლ. თედიაშვილის გამარჯვების აღსანიშნავად მეორედ ჟღერდა.

## კალეიდოსკოპი

### იზრდება მათი რაოდენობა

ჩვენს დიად სამშობლოს უკანასკნელ ხანებში 15 ახალი ქალაქი შეემატა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი ახალი ქალაქი ტინდინსკი.

საბჭოთა კავშირში ამჟამად 2.029 ქალაქია.

### უნიკალური ნაპოვნი

ქართველმა არქეოლოგებმა წითელწყაროს რაიონში აღმოაჩინეს საბრძოლო ორთვალის ბრინჯაოს მოდელი, რომლის ზომა 20 სანტიმეტრია.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს უნიკალური ნაპოვნი ძველი წელთაღრიცხვის XIV-XIII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ლითონის სრულყოფილი ფორმები, მისი ზედმიწევნით ზუსტი დამუშავება ნათლად მეტყველებს ხელოვნის მაღალ ოსტატობაზე.

### გოლიათი რესტორანი

ტაშკენტში მწყობრში ჩადგა გოლიათი რესტორანი „ზარავშანი“, რომელშიც ორი ათას ხუთას კაცს ერთდროულად შეუძლია მიუჯდეს სასადილო მაგიდას.

რესტორანს აქვს 16 დარბაზი. გვიანობამდე მუშაობს ჩაიხანა, ღამის ბარი, კოკტეილ-ჰოლი, კაფეტერია.

მომხმარებლებს ასზე მეტი გამოცდილი მზარეული ემსახურება.

### გაქვავებული თევზი

მოძმე ლატვიაში ამას წინათ 230 მეტრ სიღრმეში ნიადაგის ბურღვის დროს გაქვავებული თევზი აღმოაჩინეს.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნაპოვნი თევზი რამდენიმე ათეული მილიონი წელი იყო ჩამარხული მიწაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ თევზის ასეთ იშვიათ სახეობას პირველად წააწყდნენ საბჭოთა კავშირში.

### მოხერხებული და იოლი

მოსკოვის კოსმეტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა ნ. რუდენკომ შეიმუშავა პლასტიკური ოპერაციის ახალი მეთოდი.

ამ მეთოდის გამოყენება ქირურგებს საშუალებას აძლევს პაციენტებს ცხვირის ფორმა სურვილისამებრ შეცვალონ ანატომიურ სტრუქტურასთან შეხების გარეშე.

ცხვირის ოპერაციის ეს მოხერხებული და იოლი საშუალება მალე დაინერგება ჩვენი ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებებში.

### მოძმე სომხეთში

არარატის ველზე აშენებულმა ავეჯის უდიდესმა ფაბრიკამ უკვე გამოუშვა პირველი პროდუქცია.

სრული დატვირთვით ამუშავების შემდეგ ფაბრიკა ყოველწლიურად 8 მილიონი მანეთის სხვადასხვა ნაწარმს მიაწვდის მომხმარებლებს.

მოძმე სომხეთში დამზადებულ საწერ მაგიდებს, წიგნის კარადებს, საძინებელი ოთახის გარნიტურებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც მიიღებენ.

სტეფანია გროძენსკა
(პოლონეთი)

## ღია ბარათი

კიოსკის წინ, სადაც ღია ბარათები იყიდებოდა, მალინოვსკები დიდხანს თათბირობდნენ.

— მოდი ეს ნაძვისხით დამშვენებული ღია ბარათი გავუგზავნოთ. ძალზე ეფექტურია.

— არა, არა, ახლა ყველა საახალწლო ატრიბუტებიან მისალოც ბარათებს გზავნის, უფრო ორიგინალური რამ შევარჩიოთ.

— მაშინ, აი, ეს მწვანე ნარგავებჩარიგებული რკინიგზის შტო ვიყიდოთ.

— საიდან სადაო. ისინი თავგამოდებული ტურისტები არიან. შარშან კარავმოკიდებულებმა ფეხით იმოგზაურეს ქვეყნის ბოლომდე. შენ კი რკინიგზას სთავაზობ. მთები უნდა გავუგზავნოთ, მკაცრი და ზვიადი ბუნება. შეხედე, იქნებ ეს გამოდგეს...

— განა ეგ მოსაწონია? მთლად გაშიშვლებული კლდეებია! თავ-პირი ჩამოსტირით, ყველა ერთფეროვანია. ასეთი ღია ბარათები, ალბათ, უკვე თავზესაყრელად დაუგროვდათ.

— მაშ, იქნებ ეს ცისფერტბიანი ჯობდეს, ძალიან ლამაზია.

— მართლაც, მომხიბლავია.

— აი, ეგ ღია ბარათი მოგვეცით, გეთაყვა, გმადლობთ! ეჰ, ცალი კიდე გაყვითლებია. არა გაქვთ სხვა ასეთივე ღია ბარათი?

— არა. ეს უკანასკნელია.

— იცი რა? გამოვართვათ ეს შეყვითლებული, იფიქრებენ, ფოსტაში გაჭუჭყიანებულაო.

— არა, არ ივარგებს. თუ კარგად შეათვალიერებ, ემჩნევა, ეს სიყვითლე ვიტრინაში დიდი ხნის დებით რომ არის გამოწვეული. კარასინსკა იტყვის; ჩანს, გაკოტრებულან, გაყვითლებული ღია ბარათი გამოგვიგზავნეს, ახლის შესაძენად ფული არ აქვთო.

— კარგი. აგერ, ის ტურისტის ღია ბარათი ავიღოთ.

— მგონი, რაღაც ლაქა აქვს.

— მაშინ, ფერადი გამოვართვათ.

— კეთილი. თუ შეიძლება, ფერადი ღია ბარათი გვიჩვენეთ. არა, ეს კი არა, აგერ ის. აქ ცხვრებია, რაში ჭირდებათ ცხვრები?

— ჯობს. ისევ მთები ავიღოთ. მთები მაინც მთებია!

— კარგი, კარგი. მოგვეცით, გეთაყვა, აგერ ის თოვლიანი...

— თოვლიანი? ეს საშინლად ტრაფარეტულია. გვერდით რომ უდევს, ის ჯობს.

— გვიბრძანეთ ერთი, ეს რომელი მთაა? ის ხომ არა ჩვენთან რომ არის ზაკოპანეში?

— ნეტავი მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

---

მსოფლიო ჩემპიონის მეორე ოქროს მედლით მკერდდამშვენებულ ლევან თედიაშვილს ირანელი მაყურებლები ხუმრობით უყვიროდნენ: „აღა თედია, კლასიკურშიც, კლასიკურშიც!“

ასეთი რამ ჭიდაობის ისტორიას, მართლაც, რომ არ ახსოვს!

მონრეალიდან ოლიმპიური ოქროს მედლით მკერდდამშვენებულ ლევანს სამშობლოში დიდი სიხარული ელოდა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

— ლევან, გილოცავთ მთავრობის უმაღლეს ჯილდოს! — ვულოცავთ სახელგანთქმულ ფალავანს.

— გმადლობთ! თავს ბედნიერად ვთვლი, რომ წილად მხვდა ესოდენ დიდი პატივი — ლენინის ორდენის კავალრობა!

— როგორ წარიმართა თქვენი ორთაბრძოლები მონრეალის ხალიჩაზე?

— შვიდივე ორთაბრძოლა მოვიგე. ფინალში ჩემი ძველი მეტოქე, ამერიკელი ბენიამინ პეტერსონი დავამარცხე და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავედი. მეორე დღეს ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა მასალა სათაურით: „თედიაშვილი ართულებს პეტერსონების ოჯახის ცხოვრებას“. ვფიქრობ, ავტორი შეცდა, ვინაიდან პეტერსონების ცხოვრება კი არ გავართულე, არამედ პირიქით, ერთობ გავამარტივე. მიუნხენში ოქროს მედალი უმცროსმა ძმამ — ბენიამინმა მოიპოვა, მონრეალშიც რომ ასე გამეორებულიყო, უფროსი ძმის მიმართ დიდი „უპატივცემლობა“ იქნებოდა! — ხუმრობს ლევანი.

ეს მოსაზრება პეტერსონების მამასაც გავუზიარე, რომელიც უმცროსი შვილის დამარცხებით ძალზე დაღონებული იყო, ხუმრობამ ღიმილი მოჰგვარა. ჯონ პეტერსონმა მამამისი თავის მშობლიურ ქალაქ მადისონში მოწყობილ მსოფლიო თასის გათამაშებაზე გამაცნო.

ხალიჩაზე გასასვლელად ვემზადებოდი, როდესაც ჩემთან თარჯიმანი მოვიდა და ღიმილით მითხრა, უფროს პეტერსონს უთქვამს, ვიცოდი თედიაშვილი ქართველი იყო და ბალნიანი, მკაცრი

## მსოფლიო რუკა

საბჭოთა კავშირისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტთა ჯგუფმა ამას წინათ დაამზადა მსოფლიოს უნიკალური რუკა. იგი 234 ფურცლისაგან შესდგება. ეს ფურცლები რომ გავაერთიანოთ, მივიღებთ 12 მეტრი სიმაღლისა და 16 მეტრი სიგრძის რუკას.

მსოფლიოს ახალი რუკა სპეციალისტთა ფართო წრისათვის არის განკუთვნილი.

## სიახლე მედიცინაში

მოსკოვისა და ხარკოვის კლინიკებში წარმატებით ჩაიბარა გამოცდა ყურის ახალმა სამკურნალო პრეპარატმა „ოტოპენმა“.

ეს სამკურნალო პრეპარატი სმენადაქვეითებული ადამიანის ყურში თავისებური მემბრანის დანიშნულებას ასრულებს და ხელს უწყობს ხმაურის რხევის უკეთ დაჭერას.

ხარკოვში უკვე დაიწყეს „ოტოპენის“ მასობრივი გამოშვება.

## უხვმოსავლიანი ჭარხალი

უზბეკეთის სს რესპუბლიკის პუშკინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში მოიყვანეს უზარმაზარი ჭარხალი, რომლის წონა 28 კილოგრამია.

ახალი ჯიშის უხვმოსავლიან ჭარხალს მოძმე უზბეკეთში ხუთწლედის მეორე წელს დიდ ფართობებზე დათესავენ. იგი მალე სხვა რესპუბლიკებშიც ჰპოვებს გავრცელებას.

## ქალებისათვის

ქალებისათვის, რომლებსაც უყვართ წამწამების შეღებვა, მალე საშიში აღარ იქნება არც წვიმა და არც საკუთარი ცრემლები.

მოსკოვის კოსმეტიკის ფაბრიკის თანამშრომლებმა ამას წინათ დაამზადეს ტუშის ახალი სახეობა, რომელიც კარგად უძლებს ყოველგვარ სინოტივეს. ასეთი ტუშით შეღებილ წამწამებს ვეღარაფერს აკლებს წვიმა და ცრემლები.

## ახლო მომავალში

რუსთავში, იალღუჯის მთაზე მეტალურგიული ქარხნის მუშებისათვის 104 ადგილიანი პროფილაქტორიუმი აღიმართა. მალე აქ რუსთავის ქიმიური ქარხნის მუშებისათვისაც აშენდება კეთილმოწყობილი პროფილაქტორიუმი.

მწვანით შეიმოსება მოტიტვლებული იალღუჯის ფერდობები, მოეწყობა მოედნები, აშენდება სხვადასხვა ნაგებობები.

ამ ცოტა ხნის წინათ უკაცრიელი მთა მალე მშრომელთა გართობა-დასვენების საყვარელი ადგილი გახდება.

# ცხელ-ცხელი ამბები

— სწორედაც რომ აქვს; იქნებ ეს მთა სადღაც სილეზიაშია, ჩვენ კი მასზე დავაწერთ, „სალამი ზაკოპანედან“. ისინი დაასკვნიან, რომ ჩვენ მათ შინ ნაგდები ღია ბარათი გავუგზავნეთ.

— ის მთა ავიღოთ, რომელზეც „გევონტი“ აწერია.

— მართალია. უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენ თვითონ ხომ გვეცოდინება, რაც არი. მოგვეცით, გეთაყვა, გევონტი და ორმოციანი მარკა, გმადლობთ!

— კალმისტარი გაქვს? ახლავე დავაწეროთ.

— რა დავაწეროთ?

— ჩვეულებრივად; „გულითად სალამს გითვლით და ახალ წელს გილოცავთ ზაკოპანედან. მალინოვსკები“.

— იქნებ, უფრო გონებამახვილური...

— მაინც, რა?

— მოიფიქრე რამე.

— ასე უცებ? მოიცა, ასე რომ დავიწყოთ: გევონტის მთის ძირიდან გესალმებიან მალინოვსკები...

— გონებამახვილურად მიგაჩნია?

— უკეთესი შენ მოისაზრე.

— მოიცა, მოიცა, იუზიკმა როგორ მოგვწერა? გახსოვს, რამდენი ვიცინეთ: „ცრემლით სავსე თვალებით ზღვაში ვიძირებით, იმის გამო, რომ აქ არა ხართ“.

— ჩვენ ხომ ზღვაზე არა ვართ?!

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ამის მსგავსი რამ უნდა მოვიფიქროთ; მაგალითად, აი ასე; „ვსუნთქავთ რა მთის საამური ჰაერის არომატით, ვნანობთ, რომ ჩვენთან არა ხართ“...

— ძალიან კარგი. გავრითმოთ კიდეც; მთის საამო არომატით ვსუნთქავთ, რარიგ ვნანობთ, რომ არა ხართ ჩვენთან...

— ვსუნთქავთ, ჩვენთან?! ცუდი რითმაა!..

— მე რა, მიცკევიჩი ხომ არა გგონივარ? თუ არ მოგწონს, შენ მოიგონე.

— კარგი, კარგი, მომეცი კალამი!

* * *

კარასინსკი ქოშინით აიჭრა მეოთხე სართულზე, ბინის კარი შეაღო და ცოლს გასძახა:

— გასაღები მომეცი, საფოსტო ყუთში რაღაც დევს!

დაბლა ჩაირბინა და რამდენიმე წუთის შემდეგ უფრო მეტად აქოშინებული სამზარეულოში შეიჭრა, სადაც პანი კარსინსკა საახალწლო სამზადისში იყო.

— ნეტავი რა ძალა მადგა, ასე შურდულივით რომ გავვარდი?! ეშმაკმა დალახვროს მათი თავი და ტანი. ამ მეოთხე სართულის გადამკიდე, ინფარქტს ავიკიდებ!

— ყუთში რა იყო? — დაინტერესდა კარასინსკა.

— არაფერი, რაღაც მოსალოცი ღია ბარათი ეგდო.

— ვისგან არის?

— არ ვიცი.

— არ აწერია?

— ახლავე ვნახავ. ბიანოვსკები, იქნებ გლინარსკებია, ვერ ვარკვევ.

— აბა, მიჩვენე... მალჩევსკები.

— მალჩევსკები ვიღა არიან?!

— თუ მიკულსკები, თუ ღმერთი გწამს, იცნობ ვინმე მიკულსკებს?

— მოეშვით ერთი, ნუთუ სხვა საქმე არა გაქვს? სადილი მაჭამე, შიმშილით ვკვდები!

კარასინსკამ ღია ბარათი ნაგვის ვედროში ჩააგდო და მაგიდის გაშლას შეუდგა.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

გარეგნობისა წარმომედგინა, სინამდვილეში კი ჩვეულებრივი სტუდენტი ყოფილაო, — იხსენებს ლევან თედიაშვილი.

— ლევან, ქართველი ფალავნებიდან პირველად თქვენ მოიპოვეთ ოლიმპიური ორი ოქროს მედალი: როგორი „ტვირთია“?

— გამოგიტყდებით, მონრეალში გამარჯვებაზე და მეორე ოლიმპიურ „ოქროზე“ დიდი ხანია ვოცნებობდი. მაგრამ ახლა, როცა განვლილი ასპარეზობა ისტორიას ჩაბარდა, განსაკუთრებული გრძნობა არა მაქვს. ვფიქრობ, ჩემი მოვალეობა კეთილსინდისიერად მოვიხადე.

— სპორტი ხელს ხომ არ გიშლით ოჯახურ ცხოვრებაში? როგორ არის განწყობილი ჭიდაობისადმი თქვენი მეუღლე?

— მეუღლისაგან ჭიდაობაზე უკმაყოფილო სიტყვა არასოდეს მსმენია. პირიქით, იგი ცდილობს ხელი შემიწყოს წვრთნისა და ასპარეზობის დროს. ორი ვაჟი მყავს — სამ-ნახევარი წლის ვახტანგი და წლინახევრის ბესიკი. როდესაც თბილისში ვარ, ვცდილობ, მეუღლეს ბავშვების მოვლაში დავეხმარო.

— რა აზრისა ხართ სპორტული რეჟიმის დარღვევაზე, თავს თუნდაც მცირეოდენი დალევის უფლებას ხომ არ აძლევთ?

— საკუთარი თავის მტერი თუ ხარ?!. არადა არ ვეთანხმები იმ სპორტსმენებს, რომლებიც ფიქრობენ, დაძაბული შეჯიბრების შემდეგ შეიძლება ცოტაოდენის დალევა, ვითომც ფიზიკური დაღლილობის მოსახსნელად. ასეთი „ლოგიკით“ მართლაც, შორს ვერ წახვალ!

— დაბოლოს, ტრადიციული კითხვა: თქვენი გეგმები?

— ახლა ევროპის ჩემპიონატისათვის ვემზადები. ცოტა მოგვიანებით კი მსოფლიო პირველობაში ვიასპარეზებ. ვფიქრობ, გაინტერესებთ გამოვალ თუ არა მოსკოვის ოლიმპიადაზე? ალბათ, გამოვალ, მაგრამ... მანამდე ხომ მთელი ოთხი წელია!

ო. კუსიანი,
სპორტის ოსტატი.

# ახალი ლექსები

მზია ხეთაგური

## ომში დაღუპულ პოეტებს

ფიქრი, ფიქრი მძივებივით დაწყვეტილი,
კვლავ მეწევა წარსულ გზებზე საოცნებოდ.
თქვენთან ერთად რომ არ ვგრძნობდი მაშინ ტკივილს —
მაპატიეთ, მაპატიეთ, მებრძოლებო!

განა სევდა კინოფილმით აღწერილი,
განა მხოლოდ ნაამბობი ამატირებს —
რომ არ ვიყავ მაშინ ქვეყნად გაჩენილი —
მაპატიე, ჯარისკაცო, მაპატიე!

დღემდე ვდუმდი. მეც ვარ დედა და ვარ ქალი,
თქვენს საფლავებს როგორც აკვნებს ვუდარაჯე,
დაგროვილა სიამაყე სევდიანი,
ვიწვიმებ და ღრუბელს გავშლი უთვალავჯერ.

რა მაწუხებს? თქვენი ლექსი უქადალდო,
სიყვარული ნაადრევად დაფერფლილი,
სურვილები ნათელი და უღალატო,
ჩამავალი სხივებივით გაკრეფილი.

განა მხოლოდ წაკითხული, ნაამბობი,
ან ლამაზი წარმოდგენა ამატირებს,
თქვენს რიგებს, რომ მუდამ ვაკლდი, მეგობრებო,
უჩემობა, უჩემობა მაპატიეთ!

## სიღნაღი, მაისი

ოკრო-ბოკრო გზები,
მთებიც ოკრო-ბოკრო,
გაზაფხულის რთველი,
სხივი, როგორც ოქრო.

სამაისო თრთოლვა,
იასამის ფერი,
სამდურავი — ცოტა,
საამაყო — ბევრი.

გოგო მოდის რხევით,
სხვისთვის დასანანი,
აქვე — ბოდბისხევი,
არსად — ფარსადანი.

სასტუმროს წინ ბაღი,
ციცქნა ავანსცენა,
ვარსკვლავების ნახირს
მწყემსავს ალმაფრენა.

ყვავილების ფარდა,
გადახსნილი შუბლი,
ღრუბლის ქულებს ფატრავს
კიპაროსთა შუბი.

ოკრო-ბოკრო გულის
ფიქრი ოკრო-ბოკრო,
არსად სინანული,
სხივი, როგორც ოქრო.

შარლოტა კვანტალიანი

## შემოდგომის მოლოდინი

საღამო სიმშვიდეს დამპირდა,
დუმილი დაბურავს აწ ნავებს,
ძეწნები მდინარის ნაპირთან
ტოვებენ ოქროსფერ ნაწნავებს.

ეჭვი კი ჯინივით ამოდის
დაღლილი, მბჟუტავი ლამპიდან,
თენდება... სიმშვიდე არ მოდის,
ტყუილად დამპირდა...

## ახალგაზრდული

ისეთი მაქვს თვალები,
გავუსწორებ ცხელ მზეს,
შემომისხდნენ ქარები
გაქანებულ ცხენზე.

მაღალი ცის აღმართზე
ნაპერწკლები კრიფეს,
უსასრულოდ ავღმართე
ოცნებების კიბე.

ვარდისფერი ღრუბელი —
ჩემი სიზმრის გუდა...
რაშები მყავს უბელო
და ხოხბების გუნდი.

ჯერაც ვერ დავმშვიდდები,
ღელავს ჩემი ფარდა,
დაბმული მყავს შინდები
ოცნებების კართან.

ისეთი მაქვს თვალები,
გავუსწორებ ცხელ მზეს,
შემომისხდნენ ქარები
გადარეულ ცხენზე.

## ბუნდოვანება

იმ ყიამეთში თოვლის ხეები
ნეგატივივით იყო უსახო,
ისე მომბეზრდა ბუნდოვანება,
რომ მთელი ღამე დილას ვუძახე.
უცებ გამჟღავნდა ყველა სურვილი,
რაიც მანამდე იყო ფარული..
სადარბაზოში ჩუმად ქვითინებს
ღამე — ქუჩიდან შემოპარული.

## კვირტთა ვერნისაჟი

ირეკლება ღრუბლის ქეჩა
ქუჩის ღია თვალებში,
ახლა წვიმა ისე ურჩობს —
გაბრაზების გარეშე,

დაძენძილა მძიმე ბადე
ბუნდოვანი ფერებით,
დახუნძლულა ხე და ბარდი
კვირტთა გამოფენებით.

თუმცა ზეცა წვიმას ისევ
სასიმღეროდ ახელებს,
ჩემი ქუჩა ველარ იტევს
გამოფენის მნახველებს.

## ცოდვა

მწვანით დაბურულ ჩემს ქუჩაზე
ერთი ხე გახმა,
ერთი ალვისხე,
მზედაცხუნებულ ყინულივით
დასცვივდა ფარჩა,
თეთრი სიზმრებით მოჩითულ გზას
დაადგა ჩუმად,
უშემოდგომოდ
და უზაფხულოდ დარჩა.

ვერ ვბედავ თვალი ავაყოლო
აშხვართულ ალვას,
შეუცნობელი, შემაზრზენი
შემიპყრობს შიში,
რომ ერთ დღეს მწვანე
აიხსნება თვალები მისი
და პასუხს მომთხოვს
პატარობისას რომ დავსხიპე
ხელები ხისა.

## დიპტიქი: ორი განწყობილება

1. მწუხარება.

ნეტავ, არ შემხვდეს ამ ქუჩაზე ვინმე ნაცნობი,
ნეტავ, მაცალონ ცოტა ხანი თავთან დარჩენა,
არ მომიკითხოს მეგობარმა ჩვეულ ანცობით,
არ შემაჩეროს უფერული, სუსტი მარჯვენა...
ნეტავ, არ შემხვდეს ამ ქუჩაზე ვინმე ნაცნობი,
ნეტავ, ნაცნობი ამ ქუჩაზე არვინ მაჩვენა...

2. სიხარული.

გავინაწილოთ სიხარული რაც მიპოვია,
ცოტას ნაჩვევი ლამის არის გამისკდეს გული,
მე უცაბედმა აღტაცებამ ამიყოლია,
ისეც უძილოს გამიტეხა ფიქრი და რული,
შემცილებელი სიხარულში არვინ მყოლია —
სადარდელს კი და... დიდ სიხარულს ვერ უძლებს გული



# ძველი კრების ფურცლებიდან

ალექსანდრე მაკედონელის მამა ფილიპე ერთი დამნაშავის საქმეს არჩევდა. პროცესზე ფილიპეს დაეძინა და ყური ველარ ათხოვა დამნაშავის გამამართლებელი საბუთის წაკითხვას. მაგრამ მსჯავრი მაინც დასდო და სასჯელი გამოუტანა. ამის გამო დანაშაულში შეწამებულმა წამოიძახა:

— მე უჩივლელად არ დავტოვებ ამ საქმეს!

— მერე ვისთან იჩივლებ?! — შეუტია ფილიპემ.

— თვითონ შენთანვე, ხელმწიფეო, თუ კიდევ არ დაიძინებ გასამართლების დროს!

ისტორია ამბობს, რომ ფილიპემ არამც თუ საჩივრის ნება მისცა დამნაშავეს, არამედ ხელმეორედ დიდი ყურადღებით მოისმინა მისი საქმე და გაამართლა შეწამებულიო.

* * *

ვიღაც ყბედმა არისტოტელეს თავი მოაწყინა უხეირო ამბის მოყოლით და როდესაც უკანასკნელი ამბავი გაათავა, ჰკითხა:

— არა, საკვირველი არ არის?

— აქ საკვირველი მარტო ის არის, რომ იგი, ვისაც ორი ფეხი აქვს, დროს კარგავს და შენ ყურს გიგდებსო, — უპასუხა ფილოსოფოსმა.

* * *

ალექსანდრე მაკედონელმა თავის მეგობარს პერილს ორმოცდაათი ტალანი უბოძა: — შენს ქალებს მზითვად გაატანეო.

— ბევრია, ხელმწიფეო. ათიც საკმაოა, — მოახსენა პერილმა.

— მართალი ხარ, — უთხრა ალექსანდრემ, — შენთვის ბევრია მისაღებად, ჩემთვის კი ცოტაა მისაცემად!

* * *

როცა ფილოსოფოსი თალესი ახალგაზრდა იყო და დედა ცოლის შერთვას ურჩევდა, „ჯერ ადრეაო“, — ეუბნებოდა თალესი; როცა დედამ უფრო გვიან ხელახლა ურჩია ცოლის შერთვა, შვილმა უპასუხა: „ეხლა გვიანღააო“.

* * *

სარდალი მანი კურიოსი მიწავაშლს ჭამდა, როცა საბინელნი მივიდნენ და ოქრო შეაძლიეს ქრთამად.

— იმ დრომდე, ვიდრე მიწავაშლა მასაზრდოვებს, თქვენი ოქრო ჩემთვის საჭირო არ იქნებაო, — უთხრა სარდალმა.

# ინგლისური იუმორი

□

რაც მეტს ვსწავლობთ, მეტი ვიცით, რაც მეტი ვიცით, მეტი გვავიწყდება, რაც მეტი გვავიწყდება, ნაკლები ვიცით, რაც ნაკლები ვიცით, ნაკლები გვავიწყდება, რაც ნაკლები გვავიწყდება, მეტი ვიცით, მაშ, რატომ ვსწავლობთ?

□

— იცი, ტომ, ლინკოლნი შენი ხნის რომ იყო, საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა, — უთხრა მამამ ტომს.

— ვიცი, მამა, მაგრამ შენი ხნისა ლინკოლნი აშშ-ის პრეზიდენტი იყო.

□

— ჩვენი გემისთანა გემები ხშირად იძირებიან? — ეკითხება ახალგაზრდა მეზღვაური ძველ მეზღვაურს.

— არა, — უპასუხა მან, — მხოლოდ ერთხელ!

□

გამომცემელი: — ეს პოემები თქვენი დაწერილია?

ახალგაზრდა კაცი: — დიახ, ყოველი სტრიქონი, სერ.

გამომცემელი: — ოჰ, მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, მისტერ ბაირონ, მე დიდი ხნის მკვდარი მეგონეთ.

□

— დედა, მიყიდე რა ახალი თოჯინა, ძველი მორცხვობს, ასაკს რომ ეკითხებიან, — სთხოვა პატარა მერიმ დედას.

□

ქალი გათხოვებამდე წუხს თავის მომავალზე, კაცი კი — ცოლის თხოვის შემდეგ.

□

ერთ დღეს ფერმერმა, რომელსაც თორმეტი გოჭი ჰყავდა, თავისი პატარა ვაჟი, ტომი, გაგზავნა გოჭების დასათვლელად. ბიჭი დაღონებული დაბრუნდა უკან.

— რა დაგემართა? — ჰკითხა მამამ.

— ო, მამა, მე მხოლოდ თერთმეტი დავითვალე, ერთი პატარა გოჭუნა ისე სწრაფად დარბოდა, მისი დათვლა ვერ მოვახერხე.

□

გაჭედილ ავტობუსში პატარა ჯონი მამას მუხლებზე უჯდა. გაჩერებაზე ხნიერი ქალი ამოვიდა. ჯონი წამოხტა, ქუდი მოიხადა და მოხუცს ადგილი დაუთმო.

□

— მამა, რა არის დიპლომატი?

— დიპლომატი, შვილო, არის ჯენტლმენი, რომელსაც შეუძლია მოატყუოს მეორე დიპლომატი, თანაც ისე, რომ იმან დაუჯეროს, თუმცა, კარგად იცის, რომ ის ჯენტლმენი მატყუარაა.

□

მეორე მსოფლიო ომის პირველ დღეებში ინგლისელმა ოფიცერმა შორეულ აფრიკაში ლონდონის შტაბ-ბინიდან დეპეშა მიიღო:

„ომი გამოცხადდა დააპატიმრეთ მტერი თქვენს რაიონში“.

რამდენიმე დღის შემდეგ შტაბ-ბინაში დეპეშა მოვიდა:

„დაპატიმრებულია შვიდი გერმანელი, სამი ბელგიელი, ოთხი ამერიკელი ხუთი ფრანგი ორი ესპანელი ერთი შვედი ერთი ავსტრიელი გთხოვთ შეგვატყობინოთ ვის ვეომებით“.

□

— სემ, პალტო ჩაიცვი, ქუდი დაიხურე და სასეირნოდ წავიდეთ, — უთხრა მამამ პატარ სემს.

სემს გაუხარდა, სწრაფად ჩაიცვა და მამას გაჰყვა. ქუჩაში დიდი შავი ძაღლი ჰყეფდა. სემს შეეშინდა.

— ნუ გეშინია, სემ, — უთხრა მამამ, — არ იცი ანდაზა — ძაღლი, რომელიც ჰყეფს, არასოდეს იკბინება!

— მე კი ვიცი, — დაიწყო ბიჭმა ზლუქუნი, — მაგრამ ძაღლმა ხომ არ იცის.

ინგლისურიდან თარგმნა დათო ჭელიძემ.

# უცხოეთის სპორტული ამბები

## ეტიკეტის მსხვერპლნი

ტრადიციული ჰეინლვინის რეგატა საშინელ სიცხეში მიმდინარეობდა — ჩრდილში 40 გრადუსი იყო ცელსიუსით. მიუხედავად ამისა მონაწილენი, ეტიკეტის თანახმად, მთელ დისტანციაზე პიჯაკებით უნდა ყოფილიყვნენ (აუცილებლად უნდა შეეკრათ) და, როგორც წესი და რიგია, ჰალსტუხებიც გაეკეთებინათ.

25 ათას მაყურებლიდან თვითეულმა დიდი კმაყოფილება გამოხატა, როდესაც დიქტორმა რადიოში გამოაცხადა, რომ „მეტისმეტად მაღალი ტემპერატურის გამო ჯენტლმენებს ნება ეძლევათ პიჯაკები გაიხადონ“, მაგრამ ამ დროს სპორტსმენები მიზანს უახლოვდებოდნენ და პიჯაკის გახდის დრო აღარ ჰქონდათ.

## ვინც წერა-კითხვა არ იცის...

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით, პროფესიონალურ კლუბებს ეკრძალებათ ხელშეკრულების დადება იმ ფეხბურთელებთან, რომლებმაც არ იციან წერა-კითხვა. ამასთან მათ ევალებათ ელემენტარული გამოცდა მოუწყონ ყველა მოთამაშეს, რომელსაც თავიანთ კლუბში რიცხავენ.

ფედერაციის დადგენილებამ დიდი აურზაური გამოიწვია, როგორც ამბობენ, ბევრმა კლუბმა საიდუმლოდ ჩამოაყალიბა წერა-კითხვის შემსწავლელი წრეები, რომლებსაც გამოჩენილი „ვარსკვლავებიც“ ესწრებიან.

## მხოლოდ ფეხბურთი

ევროპის პირველობაზე ყურადღება მიიპყრო გფრ-ს ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა, 22 წლის დიტერ მიულერმა. მიულერი ცნობილი სამრეწველო მაგნატის შვილია, რომელიც ამასწინათ გარდაიცვალა და შვილს დიდი მემკვიდრეობა დაუტოვა, მათ შორის საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნები. რაც შეეხება თვით ცენტრფორვარდს, მას მრეწველობის საკითხები საერთოდ არ აინტერესებს. „მე არ ვაპირებ გავუსწრო კრუპსა და ფლიკს, — განაცხადა ფეხბურთელმა გაზეთ „კელნიშერ შტადტანცაიგერის“ კორესპონდენტთან საუბარში, — ჩემი ამოცანაა, გერდ მიულერს გავუსწრო“.

## ყალბი კვალი

გფრ-ს ნაკრების და მიუნხენის „ბაიერნის“ კაპიტანი ფრანც ბეკენბაუერი არდადეგებს იტალიაში, გარდოს ტბის მიდამოებში ატარებდა და უაღრესად ცუდ ხასიათზე დადგა. მიუნხენის გაზეთ „ტაგესცაიტუნგის“ კორესპონდენტი შეეცადა მისგან ინტერვიუ აეღო, მაგრამ ბეკენბაუერი მხოლოდ ერთ წინადადებას ამბობდა: „ახლა მთელი იმედი მხოლოდ დიტერ მიულერზეა“. ამის საფუძველზე კორესპონდენტმა გამოიტანა დასკვნა, რომ ბეკენბაუერი პესიმისტურად აფასებს გფრ-ს ნაკრების შესაძლებლობებს მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატში და 22 წლის თავდამსხმელ დიტერ მიულერს გუნდის წამყვან მოთამაშედ თვლის, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, კორესპონდენტი შეცდა. საქმე ის იყო, რომ ბეკენბაუერს იტალიაში მოპარეს ლიმუზინი „მერსედეს 450“ და მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ დიტერ მიულერს შეეძლო, რომელსაც საავტომობილო ქარხანა აქვს.



# ობობა — ჩვენი მეგობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობობა ობობასებრთა კლასის ფეხსახსრიანთა რაზმს მიეკუთვნება.

ბუნებაში გვხვდება მრავალი ფერისა და ფორმის 21 ათასზე მეტი ობობასებრთა კლასის სახეობა. მათი სიგრძე 0,7 მილიმეტრიდან 11 სანტიმეტრამდეა. სხვადასხვა სახეობის ობობები 1 წლიდან 80 წლამდე ცოცხლობენ.

ობობები იკვებებიან ხვლიკებით, კოლოებით, ბალინჯოებით, ბუზებითა და სხვა მწერებით. ისინი თავიანთ ქსელს, რომელსაც ხშირად აბლაბუდას ვუწოდებთ, ქსოვენ ბალახებში, ტყეებში, ჰაობებში, წყალსატევების ზედაპირზე, ოთახებში, სხვენებზე, ადამიანის საცხოვრებელ სხვადასხვა ადგილებში.

იმ საოცარ თვისებებს შორის, რომელიც ობობას აქვს, ყველაზე საინტერესო და საოცარი აბლაბუდის ქსოვის უნარია. აბლაბუდას თავისი სიფაქიზითა და სილამაზით ვერასოდეს ვერ შეედრება ადამიანის ხელით ნაქსოვი.

რთული ცილოვანი ნივთიერება, რომლისგანაც ობობა თავის ქსელს აბამს, მეტად ელასტიკური და გამძლეა. საკმარისია ითქვას, რომ ობობას ქსელის ძაფი იმავე დიამეტრის მქონე ფოლადის მავთულზე მეტ დაჭიმვას უძლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, აბლაბუდას ძაფი იმდენად წვრილია, რომ მისი 340 გრამი სრულიად საკმარისია დედამიწის გარშემო შემოხვევისათვის. ამ ძაფს უკვე წარმატებით იყენებენ ასტრონომიული, გეოდეზიური და სხვა სამეცნიერო-ტექნიკური აპარატების დასამზადებლად.

ობობას სხვა სარგებლობაც მოაქვს ადამიანისათვის. დაკვირვებებმა ნათელყო, რომ ერთ ჰექტარ ტყეში ობობები ყოველწლიურად ანადგურებენ ორ ცენტნერ მწერს, რომელთაგან თითქმის ნახევარი საშიში მავნებელია.

მინდვრად, თითოეულ ჰექტარ ფართობზე, დაახლოებით ხუთი მილიონი ობობა ცხოვრობს. ობობები თავიანთ ბადეში გახვევით ანადგურებენ მინდვრისა და ხეხილის ბაღების მავნებლებს, მუსრს ავლებენ სხვადასხვა დაავადებათა გადამტან მწერებს. ჩატარებული ცდებით მტკიცდება, რომ ობობები შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ მეცხოველეობის ფერმებში სხვადასხვა მავნე მწერებისა და ტკიპების წინააღმდეგ.

ობობას რვა თვალი და თორმეტი კიდური აქვს. ეს კიდურები საოცარი სისწრაფით მოძრაობენ, როცა მამალი ობობა „საქორწილო ცეკვას“ ასრულებს. ამ ცეკვას წინ უძღვის თავისი არჩეული დედალი ობობისადმი საჩუქრის მირთმევა. ეს საჩუქარი, უმეტეს შემთხვევაში, ქსელში დაჭერილი ბუზია.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ობობები გაჩნდნენ 400 მილიონი წლის წინ. ობობების ცხოვრება ჯერ კიდევ არაა საკმაოდ შესწავლილი, ბევრი რამ ჯერ კიდევ საიდუმლოებით არის მოცული. ის კი ნათელია, რომ ობობები განსაზღვრულ როლს თამაშობენ ბუნების რეგულირებისა და წონასწორობის დაცვაში. ამით ისინი დიდ დახმარებას უწევენ ადამიანებს.

გიორგი დათუაშვილი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
კანდიდატი.

# თითქმის დაუჯერებელი

● ეს ამბავი ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნოკხვილში მოხდა.

ერთ-ერთი იზოლირებულ ბინაში დიასახლისმა ამას წინათ ონკანი გახსნა და გაოცებულმა შეჰყვირა. ონკანიდან მოჩხრიალე წყალს თან გადმოჰყვა... თევზი.

თევზი მკვდარი აღმოჩნდა. იგი ორ სანტიმეტრზე ცოტა გრძელი იყო.

● ინგლისის ქალაქ ევმორტში ერთმა მანქანის მფლობელმა გარაჟის საყარაულოდ გაწვრთნა... არწივი.

პირველი ქურდი არწივმა ბასრი ბრჭყალებით დაასისხლიანა და პიჯაკი შემოაგლიჯა.

ამ ნაგლეჯებით პოლიციამ მალევე მიაგნო ქურდის კვალს.

● დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი სამინისტროს უფროსმა საქმისმწარმოებელმა ფელიციტას შტრიპგენმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში.

გულდაწყვეტილი შტრიპგენი თავის უფროსებს უჩიოდა, რომ მას არ ჰქონდა არავითარი... სამუშაო.

სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მომჩივარმა უსაქმურობის გამო წონაში 30 გირვანქა მოიმატა და სამინისტროს მიუთითა, რაიმე საქმით დატვირთოს ფელიციტას შტრიპგენი.

● ბალტიმორის (აშშ) პოლიციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ვინც საკუთარი ნებით ჩააბარებდა ცეცხლმსროლელ იარაღს, საჩუქრად მიიღებდა 50 დოლარს.

რამდენიმე დღეში პოლიციას 11.376 ცეცხლმსროლელი იარაღი ჩააბარეს.

მალე ნათელი აგხდა, რომ იარაღის ჩამბარებელთა უმრავლესობა თურმე მაღაზიებში იაფად ყიდულობდა მოძველებულ იარაღს და 50 დოლარად აბარებდა პოლიციას.

● ვინმე შარლ კრისტოფერ ჰილი „ხელოვნების“ ნიმუშებს ქმნის... საკერავი მანქანით.

ჰილი ერთმანეთზე აკერებს ძონძებსა და ძველი გაზეთების ნაგლეჯებს, შემდეგ მიწაში მარხავს, იქიდან ამოღების მერე კი ისევ საკერავი მანქანით „ამუშავებს“ მათ.

ამას წინათ პარიზში მოეწყო შარლ კრისტოფერ ჰილის „ხელოვნების ნიმუშების“ გამოფენა.

● ლონდონის სამხატვრო გალერეა ტეიტმა „თანამედროვე ქანდაკების“ ერთ-ერთ ტიპიურ ნიმუშად დარბაზში გამოფინა... აგურების გროვა.

გაოცებულ დამთვალიერებლებს გალერეის ხელმძღვანელებმა აუხსნეს, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებას ადამიანები ხშირად ვერ უგებენ და არ სცნობენ.

● საფრანგეთის დედათა მონასტრებიდან უკანასკნელ წლებში გაიქცა... 8 ათასზე მეტი მონაზონი.

გაქცეულთა უმცირესობამ აღიარა, რომ მათ ვერ აიტანეს „საზოგადოებიდან იზოლაცია“, უმრავლესობამ კი გაქცევის მიზეზად დაასახელა „მამაკაცებისადმი ინტერესი“.

● 20 ტონიანი ნამცხვარი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების 200 წლისთავის აღსანიშნავად გამოაცხვეს, უიღბლო გამოდგა.

ნამცხვრის 18 ათასი გაუსაღებელი ნაჭერი ქალაქის ცენტრალურ მაცივარში ინახება, 30 ათასი გამხმარი ნაჭერი კი საწყობებში.

უზარმაზარი ნამცხვრის თითოეული ნაჭერი განზრახული იყო გაეყიდათ... 2 დოლარად.

● ამას წინათ ვერსალში საჯაროდ გაიყიდა მარშალ პეტენის პირადი ნივთები.

მეორე მსოფლიო ომში საფრანგეთის მოღალატე პეტენის ქუდი გაიყიდა 7.000 ფრანკად, სამხრეები — 3.000 ფრანკად, მედალი — 5 100 ფრანკად, პერსონალური მანქანის ალამი — 5.300 ფრანკად.

● სამხრეთაფრიკელი რასისტების ერთ-ერთმა მეთაურმა ჯონ ფორსტერმა იოჰანესბურგის პოლიციის მთავარი განყოფილების წინ პირადად გახსნა... თავისი ძეგლი.

საზეიმო მიტინგზე ფორსტერმა განაცხადა, რომ ძეგლის დანახვა შეაშინებს ბოროტგანმზრახველებს და დანაშაული აუცილებლად შემცირდება.

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰორიზონტალურად: 5. ნავთობის გამოხდის შედეგად მიღებული თხევადი გაზი. 6. მედიცინის დარგი. 9. ერთ-ერთი გმირი ბერძნულ მითოლოგიაში. 10. ადამიანი, რომელიც წარმოშობილია სხვადასხვა რასის წარმომადგენელთა ქორწინების შედეგად. 11. ხე. 15. საჭმლის დამზადების ოსტატობა. 17. ხის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი. 18. სპორტული ცურვის ხერხი; 19. მშრალი ადგილების მცენარე, რომელიც ვითარდება ტენიან პერიოდში. 20. ჟანგბადის რაოდენობის შემცირება ორგანიზმში. 24. კირქვის გამოწვის შედეგად მიღებული ნივთიერება. 25. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 26. ბოტანიკის დარგი, რომელიც ხავსებს სწავლობს. 29. XIX-XX საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალისტი. 32. ტელეფონის ზარი. 33. მეჩეთის მსახური. 34. ოფიციალური მოწმობა სასწავლებლის დამთავრების შესახებ. 35. სამყაროს საწყისი იდეალისტური ფილოსოფიაში.

ვერტიკალურად: 1. სოფელი ქართლში. 2. ჟანგბადის სახეცვლილება. 3. სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 4. მეცნიერების დარგი. 5. თბილისის დინამოს ყოფილი ფეხბურთელი. 7. სამხედრო წოდება. 8. უცხოელი მოჭადრაკე. 12. მეფის ჯარისკაცი ძველ საფრანგეთში. 13. სახსრების ანთება, არასრული ღრძობა. 14. მოაზროვნე ძველ ჩინეთში. 16. შუაკაცი მოდავე მხარეთა შორის. 21. ციხე-სიმაგრე ძველ საფრანგეთში. 22. ქართული ცირკის მსახიობი ქალი. 23. სამედიცინო პრეპარატი. 27. სართულებად მოწყობილი ჰორიზონტალური რიგი. 28. ღირსშესანიშნავი თარიღი. 30. მონგოლური კარავი. 31. ადამიანი, რომელიც ქცევით, გემოვნებით ბაძავს „მაღალ საზოგადოებას“.

შეადგინა ვახტანგ სტეფნაძემ.

## „დროშის“ № 1-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 1. „გრანმა“; 3. ვიდორი; 7. კონვენცია; 8. დანია; 11. მირნი; 13. რანგი; 14. კაკაო; 15. სირია; 19. დენთი; 20. რეისი; 22. ალიბი; 24. დეგეიტერი; 25. ორბიტა; 26. ტვისტი.

ვერტიკალურად: 1. გვარდია; 2. ნეონი; 4. „დაისი“; 5. ინგლისი; 6. ფელინი; 9. ნიუანსი; 10. არმანდი; 11. მილიცია; 12. რადიუსი; 16 ქირარდო; 17. ანემია; 18. ტეილორი; 21. სტეკი; 23. ლორდი.

გარეკანის პირველ გვერდზე: აკადემიკოსი აკაკი შანიძე თარხან: არჩვაძის ფოტო

გადაეცა ასაწყობად 7/I-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/II-77 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 50.900 შეკვ. № 67. უე 00630 ფასი 30 კაპ;

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82 69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



ზამთარი თბილისში.	შ ო თ ა  ჩ ხ ე ტ ი ა ნ ი ს  ფ ო ტ ო.



თბილისი. თარხან არჩვაძის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056